

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ზაქარაძე თეონა

საბანკო სექტორის გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)

(სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
ბიზნესის მართვის დოქტორი,
მოწვეული პროფესორი რ. ცინარიძე

ხიჭაური -2020

ანოტაცია

საბანკო სისტემა საქართველოში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მართალია საქართველოს საბანკო სისტემას არსებობის მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის ისტორია აქვს, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღეისათვის საკმაოდ ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი საბანკო სისტემა ფუნქციონირებს საქართველოში. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეისათვის საქართველოს საბანკო ბაზრის ლიდერი წილი უკავია ორ ძალიან უდიდეს ფინანსურ ორგანიზაციას საქართველოს ბანკსა და თიბისი ბანკს, რომელიც ითვლიან იმდენი წლის არსებობის ისტორიას რამდენსაც ქართული საბანკო სექტორი და დღეისათვის საქართველოს საბანკო ბაზრის თითქმის 74%-იან წილს ფლობენ.

ქართული საბანკო სექტორის განვითარების შესაფასებლად ყველაზე კარგი მაჩვენებელი საქართველოს ბაზარზე მოღვაწე საბანკო დაწესებულებების აქტივების, მომგებიანობისა და მათ მიერ სახელმწიფოში ჩარიცხული გადასახადების მზარდი რაოდენობაა.

საბანკო სექტორის დადებითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაზე ისახება. საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით არაერთი კვლევის და გამიკითხვის შედეგებში, სადაც ასახულია მონაცემები საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა უერთიერთ დამოკიდებულებაშია და იზრდება საბანკო სექტორის განვითარებისა და მაშტაბების ზრდის მიხედვით.

საქართველოს საბანკო სისტემა სხვა ქვეყნების საბანკო სისტემისგან გასწავლება მისი ორდონიანი მმართველობის სისტემით. კომერციული ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, რომელიც დღეისათვის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფინანსური ორგანიზაციაა. მიუხედავად იმისა რომ ფინანსური სექტორი საკმაოდ რთულად რეგულირებადი სექტორია, ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციები ქვეყანაში საკმაოდ კონკურენტულ და საინტერესო ფინანსურ გარემოს ქმნის.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენენ სწორედ საქართველოს ბაზარზე მოქმედი კომერციული ბანკები, მათი საქმიანობის

ტენდენციები და მისი შედარება საერთაშორისო საბანკო სექტორთან. საბანკო საქმიანობის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, სახელმწიფოს როლი საბანკო სექტორის განვითარების ხელშეწყობასა და სტიმულირებაზე, რაც დადებით გავლენას მოახდენს ქვეყნის ფინანსური მაჩვენებლის ზრდაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, რომ კონკურენტული და პროდუქტიული საბანკო სექტორი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია.

ძლიერი საბანკო სფერო და ძლიერი ფინანსური სექტორი, ნიშნავს ფინანსურად მყარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნის მოსახლეობას, რაც მათი კეთილდღეობისა და ჯანსაღი ფინანსური გარემოს აუცილებელი ელემენტია.

Annotation

Annotation

The Banking system in Georgia is one of the most important areas in the Market Economics, which has an impact on improving the economic situation of the country. The Banking system of Georgia has a history of only a few decades of existence, however, it should be noted that today a banking system with very innovative and modern technologies operates in Georgia. It should be mentioned that, today the Georgian banking market is dominated by the two largest financial institutions, Bank of Georgia and TBC Bank, which have a history of as many years as the Georgian banking sector and currently hold almost 60% of the Georgian banking market.

The best indicator for assessing the development of the Georgian banking sector is the growing activity, profitability of the banking institutions operating in the Georgian market and the amount of taxes transferred by them to the state.

The positive impact of the banking sector on the development of the country's economic situation is reflected in the results of numerous international and Georgian studies and surveys, which show that the growth of Georgia's economic performance is in line with each other and increases with the development and scale of the banking sector.

The banking system of Georgia differs from the banking system of other countries by its two-tier system of governance. Commercial banks and other financial institutions are regulated by the National Bank of Georgia, which is currently one of the strongest financial organizations in Georgia. Although the financial sector is quite difficult to regulate, the regulations imposed by the National Bank create a very competitive and interesting financial environment in the country.

The aim of research of this master's thesis is the commercial banks operating in the Georgian market, their business trends and its comparison with the international banking sector. The impact of banking activities on improving the economic situation of the country, the role of the state in promoting and stimulating the development of the banking sector, which will have a positive impact on the growth of the country's financial performance. It should be mentioned that, competitive and productive banking sector is one of the important levers of the country's economic development.

A strong banking sector and a strong financial sector mean a financially well-off population, which is an essential element of their well-being and healthy financials.

სარჩევი:

ანოტაცია-----2

Anitation----- 4

შესავალი-----8

თავი I. - საბანკო სექტორის ფორმირება-განვითარება საქართველოში-10

1.1. საქართველოს საბანკო სექტორის ისტორიული მიმოხილვა-----10

1.2. საბანკო სექტორი და საბანკო ბაზარი თანამედროვე ეტაპზე-----14

თავი II - საბანკო სექტორის სახელმწიფო ზედამხედველობა და რეგულირება -----19

2.1. საბანკო საქმიანობის რეგულაციები და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა-----19

2.2. საბანკო სისტემები უცხოეთის ქვეყნებში და საქართველოს რეალობა-----28

თავი III. საბანკო სისტემა საქართველოში და მისი უკუკავშირი ეკონომიკასთან -----37

3.1. საბანკო სექტორის წილი ქართულ ეკონომიკაში, დინამიკა და ანალიზი-----37

3.2. საბანკო სექტორის მიერ ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირების თანამედროვე მიმართულებები -----45

დასკვნები და რეკომენდაციები-----53

გამოყენებული ლიტერატურა-----55

დანართი-----57

შესავალი

თემის აქტუალობა. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობისთვის და მისი გამართულად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ქვეყანაში საბანკო სფეროს განვითარება და მისი სწორი და ეფექტიანი ფუნქციონირება. ისეთი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა საბანკო სექტორის განვითარება ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, ვინაიდან საბანკო სექტორზე გადის ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის საჭირო გზები. იმ სექტორის დასაფინანსებლად და ასამუშავებლად, რომელსაც ჭირდება ფულის საკმაოდ დიდი რაოდენობა და რომელიც სამწუხაროდ ვერ ხვდება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებურ სექტორთა შორის, აუცილებელია საბრუნავი კაპიტალისთვის საჭირო ნაწილი თანხის ბანკიდან აღება სესხის სახით ან დროებით არასაჭირო თანხის დეპოზიტად განთავსება საპროცენტო სარგებლის მისაღებად. ეს ეხება ძირითადად მსხვილ კორპორატიულ და სამშენებლო სექტორს.

მოკლევადიან პერსპექტივაში, როდესაც ფიზიკური პირი ან კორპორაცია, რომელსაც სჭირდება მცირედი ან სოლიდური თანხა ეკონომიკური საქმიანობის დასაფინანსებლად ან უბრალოდ პირადი ხარჯებისთვის, ამას სთავაზობს საბანკო სფერო. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი და ძალზედ მნიშვნელოვანი ქვეყნისათვის გამართული და საიმედო საბანკო სექტორის შექმნა, რაც თავის მხრივ სარგებელს მოუტანს ქვეყნის მოსახლეობას ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მომგებიანი და საინტერესო იქნება საბანკო სექტორი როგორც ბიზნესის ერთერთი მიმართულება და საკმაოდ დიდ სარგებელს მოუტანს ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც ერთერთი უდიდესი სამსაქმებელი კომპანია და უმსხვილესი გადასახადის გადამხდელი ორგანიზაცია.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია გაანალიზდეს და დაიდოს საფუძვლიანი და შესაბამისი არგუმენტებით განმტკიცებული დასკვნა საბანკო სექტორის განვითარების დადებითი ასპექტებისა და როლის შესახებ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაში. მოხდეს საბანკო სექტორის და საბანკო საქმიანობის გარკვეულწილად წახალისება სახელმწიფოს მხრიდან, რაც თავის მხრივ დადებით

გავლენას იქონიებს ზოგად ეკონომიკურ ფაქტორებსა და ტენდენციებზე. დაისახოს და ამოქმედდეს სრულყოფილი გზები და საშუალებები სადაც სახელმწიფო წარმოდგენილი იქნება გარკვეული გარანტორის სახით ბანკსა და მოსახლეობას შორის. დაისახება პერსპექტიული მიზნები საბანკო სექტორის რა მიმართულების განვითარების ხელშეწყობა მოიტანს უფრო დადებით და ეფექტურ შედეგს დროის გარკვეულ მონაკვეთში.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა საბანკო სექტორის საქმიანობის შედეგების მიხედვით, ხოლო კვლევის ობიექტია მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და კომერციული ბანკები, რომლებიც ახორციელებენ ფულის მიმოქცევით და საკრედიტო სახიათის საქმიანობას და მათი საქმიანობის შედეგების ასახვა ხდება საერთო ეკონომიკურ მდგომარეობასთან მიმართებაში. შეუძლია თუ არა ბიზნესის ამ კონკრეტულ ელემენტს ზეგავლენა იქონიოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ზრდაზე.

კვლევის ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის ამოცანებია:

➤ საქართველოს ბაზარზე წარმოდგენი ბანკებისა და მათი საქმიანობის კვლევა;

➤ საქართველოში საბანკო სექტორის საინვესტიციო გარემოს შესწავლა და ანალიზი;

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული რეკომენდაციები და დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნას სახელწიფოსა და საბანკო სექტორის ერთიანი, კომპოზიციური და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის იმ კონკრეტული მიმართულების განსავითარებლად, რომლის ზეგავლენა ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში უდაოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომი შედგება 58 გვერდისგან. იგი მოიცავს შესავალს, ლიტერატურულ მიმოხილვას და დასკვნით ნაწილსა და დანართისგან. ნაშრომი შედგება 3 თავისა და 6 პარაგრაფისგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართები დიაგრამების სახით.

თავი I. საბანკო სექტორის ფორმირება განვითარება საქართველოში

1.1 საქართველოს საბანკო სექტორის ისტორიული მიმოხილვა

ბანკის არსის, ფუნქციონირების, დაკრედიტების პრინციპებისა და საკრედიტო ურთიერთობების განვითარების და მათზე მოქმედი ფაქტორების კვლევა ეკონომიკური მეცნიერების ინტერესის ცენტრშია. სწორედ საბანკო სექტორია მსოფლიოს მასშტაბით ძალიან ბევრი ქვეყნის ეკონომიკური ფუნქციონირების ერთერთი მნიშვნელოვანი საფინანსო ინსტიტუტი. საბანკო სექტორის განვითარება და ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან თავისთავად გულისხმობს ქვეყნის მასშტაბით ერთერთი უძლიერესი ფინანსური სექტორის წახალისებას, რომლის საქმიანობა პირველ რიგში სასიკეთოა ქვეყნისთვის ვინაიდან საბანკო სექტორი და საფინანსო ინსტიტუტები გვევლინება ერთერთ უდიდეს გადასახადების გადამხდელად, ხოლო მეორეს მხრივ იგი მოსახლეობას და სახელმწიფოს შორის ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების, ფულადი სახსრების მიმოქცევის და ფულის ემისიის აუცილებელი ინსტრუმენტია.

საბანკო სექტორში შედის რამდენიმე მნიშვნელოვანი და ძირითადი საბანკო დაწესებულებები როგორცაა:

1. კომერციული ბანკები - რომლებიც წარმოადგენენ საკრედიტო სისტემის ძირითად ნაწილს რომლის ძირითადი ფუნქცია დეპოზიტების მიღება, სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების დაკრედიტება და ფულადი ანგარიშსწორებაა.

კომერციული ბანკი – ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას; (საქართველოს...2010: მუხლი102)

2. შემნახველი ბანკები - აქ შედის ადგილობრივი საშუალო საკრედიტო დაწესებულებები. ისინი გამოირჩევიან ოპერაციების პასიურობით და ძირითადად შემნახველი ფუნქცია აქვთ.

3. იპოთეკური ბანკები - ისინი ძირითადად გრძელვადიან საკრედიტო პროდუქტებს გასცემენ უძრავი ქონების სანაცვლოდ (შენობა-ნაგებობა მიწა).

გარდა ჩამოთვლილი საბანკო სფეროებისა საბანკო სექტორში ასევე შედის: სპეციალური სავაჭრო ბანკები, სადაზღვეო კომპანიები, საპენსიო ფონდები, ფინანსური კონპანიები, საქველმოქმედო ფონდები, საკრედიტო კავშირები და ა.შ

უკანასკნელ წლებში დაჩქარებული გლობალიზაციის, პოლიტიკური არასტაბილურობის და ტექნოლოგიური ინოვაციების ეპოქაში ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა ფინანსურ სექტორს და როგორც ფინანსური სექტორის ფუნდამენტურ საფუძველს საბანკო სისტემას, რაშიც მოიაზრება არამხოლოდ ეროვნული და კომერციული ბანკები, არამედ მთლიანი საბანკო სფერო მიკროსაფინანსო და საბანკო ორგანიზაციების ჩათვლით.

ნებისმიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სრულფასოვანი არსებობისათვის და მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია საბანკო სექტორის ეფექტიანი მუშაობა, რომლის მთავარი ფუნქცია მისი ეკონომიკური სახსრების სწორად მობილიზება და გადანაწილებაა.

საბანკო სექტორის მონოპოლური ფუნქციონირების თავიდან ასაცილებლად, მეანაბრებისა და კლიენტების ინტერესების დაცვისთვის, იმ ფიზიკური და მეწარმე პირების სრულფასოვანი მომსახურებისთვის, ვინც იღებს ფულად სახსრებს ბანკისგან სესხის სახით ანდა აბანდებს საკუთარ კაპიტალს სარგებლის მოპოვების მიზნით, განათავსებს ანგარიშებს ბიზნეს და სამეწარმეო საქმიანობისთვის და ა.შ საჭიროა საბანკო სექტორის რეგულირება რასაც ძირითადად ახორციელებს სახელმწიფო.

ქართული ფულის ერთეული, ვერცხლის მონეტა ე.წ. კოლხური თეთრი ძვ. წ. VI-III საუკუნეებით რაც მეტყველებს ფულად საკრედიტო ურთიერთობების არსებობას უძველეს პერიოდში.

საქართველოში კომერციული საბანკო სექტორის საქმიანობა მე-19-ე საუკუნიდან იწყება. მანამდე ყიდვა გაყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობას ალებ-მიცემობის სახე ქონდა და გარკვეულწილად იცვლებოდა ერთმანეთში საქონელი თავისი ღირებულებების და რაოდენობის შესაბამისად. დღევანდელ ბანკებთან და მის ფუნქციონალურ საქმიანობასთან მიახლოებული გახლდათ ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული „თბილისის საადგილმამულო ბანკი“, რომელიც 1875 წელს შეიქმნა. ამ ბანკის ძირითადი ფუნქცია გახლდათ მემამულეებისგან მიწის დაგირავება,

რომლის გამოსყიდვაც შეეძლოთ გლეხებს საკუთარი სახსრებით ან ისევ ამ ბანკში აღებული სესხით.

შემდგომ პერიოდში 1991 წლამდე საქართველოში საბანკო სექტორი საერთოდ არ არსებობდა როგორც საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყანაში და საერთოდ არ იყო დაშვებული საბანკო საქმიანობა. არსებობდა მხოლოდ სახელმწიფო ბანკი, რომლის ძირითადი დანიშნულება შემნახველი სალაროს მოვალეობის შესრულება იყო.

1991 წლიდან საქართველოში ასობით ბანკი გაიხსნა, ვინაიდან საბანკო ლიცენზიის მიღება ძალიან მარტივი იყო, თუმცა ბანკები იგივე ტემპით იხურებოდა როგორც იხსნებოდა. ხშირ შემთხვევაში ეს ბანკები კერძო მფლობელს ეკუთვნოდა და ისინი ხალხის ფულის მისაკუთრების შემდეგ უჩინარდებოდნენ. ისედაც გადატაკებულმა მოსახლეობამ ამ მიზეზის გამო საერთოდ დაკარგა ნდობა საბანკო სექტორის მიმართ, თუმცა რამდენიმე ბანკმა გაუძლო ამ მკაცრ პერიოდს და გააგრძელა ასპარეზობა ბაზარზე. ისინი დღეისათვის ქართული საბანკო სფეროს ლიდერ კომპანიებს წარმოადგენენ.

საქართველოში მოქმედი ბანკებისა და ფილიალების რაოდენობა წლების მიხედვით
ცხრილი №1

	ბანკები	ფილიალები	სერვის-ცენტრები
1996	61	242	-
1997	53	215	-
1998	45	212	-
1999	39	219	-
2000	32	208	-
2001	28	206	146
2002	26	199	153
2003	24	201	162
2004	21	159	142
2005	19	159	191
2006	17	122	303
2007	18	124	394
2008	20	123	544
2009	19	121	508
2010	19	117	523
2011	19	118	589
2012	19	122	715
2013	21	162	817
2014	21	166	797
2015	19	140	816
სექტემბერი, 2016	17	142	813

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს სტატისტიკური ინფორმაცია გამოქვეყნებული რომელიც ასახულია დანართი N1 ცხრილში სადაც ნათლად

იკვეთება, რომ 1996 წელს საქართველოში რეგისტრირებული 61 კომერციული ბანკიდან მათი რაოდენობა ნელნელა მცირდება და საბოლოოდ 2016 წლამდე მხოლოდ 17 მათგანია შემორჩენილი. აქ ჩანს მონაცემები ბანკების ფილიალებისა და სერვისცენტრების შესახებაც. კომერციული ბანკის დაარსებიდან 4-5 წელი არ გვხვდება სერვის ცენტრები და ფილიალები და ისინი მხოლოდ 2001 წლიდან ჩნდებიან.

საწყის პერიოდში შექმნილი ლოიალური დამოკიდებულება და ლიცენზიის მიღების მარტივი პროცედურა საკმაოდ გართულდა 1995 წლის 23 ივნისის შემდეგ რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. 1996 წლიდან უკვე ეროვნულ ბანკს მიეცა უფლებამოსილება საბანკო სექტორის კონტროლის და ლიცენზიის შეჩერების და სანქციების დაწესების, არასაიმედო და თაღლიღურ საბანკო სისტემების გამოვლენის და მისი საქმიანობის შეწყვეტის.

ბანკების რაოდენობის შემცირების ერთერთი მიზეზი გახლდათ საზედამხედველო კაპიტალის რაოდენობის გაზრდა. საზედამხედველო კაპიტალი-ეს არის კაპიტალის სხვაობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისთვის, მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური ზარალის ანაზრაურებისთვის. 2017 წლისთვის საზედამხედველო კაპიტალის რაოდენობა 12 მილიონი ლარი გახლდათ, 2017 წლის ბოლოსთვის 40 მილიონი ლარი, ხოლო 2018 წლის ივლისისთვის 50 მილიონი ლარი შეადგინა.

1997 წლიდან იწყება საბანკო საქმიანობის მაჩვენებლების ზრდა სხვა ეკონომიკის დარგებთან შედარებით და 2004 წლისთვის საბანკო საქმიანობის წილი 8-ჯერ ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი 1.6-ჯერ გაიზარდა.

ქართული საბანკო სექტორის განვითარებისთვის ერთერთი აუცილებელი პირობაა დეპოზიტების ზრდა. ეროვნული ბანკის მონაცემებით ეს მაჩვენებელიც ზრდადია და თუ ქართულ საბანკო სექტორში 20 წლის წინ დეპოზიტების სახით განთავსებული იყო მხოლოდ 56 მილიონი ლარი 2016 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაზრდილია 16 მილიარდ ლარამდე. ლოგიკურია რომ დეპოზიტების მატებასთან ერთად მატულობს სესხების რაოდენობაც, თუმცა ეს მაჩვენებელი სტატისტიკურად წარმოდგენილია მხოლოდ 2003 წლიდან, და 2016 წლისთვის 22-ჯერაა გაზრდილი.

საბანკო აქტივების დეპოზიტების და სესხების ზრდასთან ერთად მცირდება სესხის სარგებლობის განაკვეთი. 1996 წლისთვის სესხის სარგებლობის საშუალო საპროცენტო განაკვეთი 61% იყო, 2016 წლისთვის ეს მაჩვენებელი 13.1% -მდე დავიდა. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ამ პერიოდში საპროცენტო განაკვეთის გარკვეულწილად ცვლილება გამოიწვია 2007 წლის ინფლაციის მაჩვენებელმა და 2008 წლის მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა. უკვე 2015 წლიდან მონეტარული პოლიტიკა ძალიან გამკაცრდა, საკმაოდ დაბალია სესხების საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში და ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი თიქმის ორჯერ აღემატება უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთს.

ბანკების რაოდენობის შემცირება, დეპოზიტებისა და სესხების პორთფელის ზრდა, საპროცენტო განაკვეთების შემცირება და ეროვნული ბანკის რეგულაციების დადებითი ასპექტები გვიჩვენებენ, რომ ქვეყნის ბაზარზე მთავარია არა ბანკების რაოდენობა, არამედ არსებული ბანკების განვითარების დონეა. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა რომ ბოლო ათწლეულებში საქართველოს ბაზარზე თითქმის არცერთი ბანკი არ გაკოტრებულა, ზოგიერთი მათგანი უფრო დიდ ბანკებს შეუერთდა, ხოლო ზოგმაც ლიკვიდაცია განიცადა ისე რომ არცერთი მენაბრე და მსესხებელი არ დაზარალებულა.

არსებული სტატისტიკური ინფორმაციიდან გამომდინარე აშკარად იკვეთება საქართველოს ბაზარზე საბანკო სექტორის განვითარების ტენდენციები და საბანკო სფეროს დადებითი ზეგავლება ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, თუმცა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მხოლოდ საბანკო სექტორზე არ არის და არც შეიძლება იყოს დამოკიდებული.

1.2 საბანკო სექტორი და საბანკო ბაზარი თანამედროვე ეტაპზე

საბანკო სექტორი და საბანკო ბაზარი თანამედროვე ეტაპზე თავისი ინოვაციებითა და განვითარების ძალიან მაღალი მაჩვენებლით შეიძლება ჩაითვალოს ერთერთ ლიდერ მომსახურების სფეროდ, რომელიც უმარტივეს ადამიანებს ცხოვრებას.

თამამედროვე ეტაპზე გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად განვითარდა და დაიხვეწა საბანკო სფერო არამარტო საქართველოში არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ეს გამომდინარეობს იქიდან რომ საბანკო სექტორს აქვს საშუალება მყისიერად გადაწყვეტილებების მიღების რაც გულლისხმობს სწრაფად და რეალურ დროში დამკვეთის მომსახურებას მისთვის საჭირო პროდუქტით. ტექნოლოგიური ფაქტორების როლი ამ სისტემის მუშაობაში ძალზე მაღალია, ვინაიდან კომპიუტერულ პროგრამებსა და ტექნოლოგიებს შეუძლია მყისიერად ძალიან მოკლე დროში დამკვეთის შეფასება, მისი ქცევის გაანალიზება, და რისკების დონის განსაზღვრა, ზოგადი მონაცემების საშუალებით მისი სამომავლო ქცევის ანალიზის გაკეთება და რისკების დონის შეფასება სააბოლოოდ აისახება სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებაში.

საბანკო სექტორის ლიდერი პოზიციები და საფინანსო სექტორის პროცენტული მაჩვენებელი გამოსახულია ცხრილ №1 სადაც ნაჩვენებია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით ფინანსური სექტორის აქტივები მთლიანი აქტივების თითქმის 92% შეადგენს. ეს რაოდენობა სავსებით საკმარისია იმისათვის რომ ფინანსური სექტორის დადებითი ასპექტები გამოიკვეთოს და მოხდეს მისი სრულფასოვანი შეფასება საერთო აქტივების მოცულობასა და რაოდენობაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური სექტორის აქტივები საქართველოში

ცხრილი №2

№	ფინანსური სექტორი	აქტივების წილი
1	კომერციული ბანკები	91.96%
2	არასაბანკო სექტორი (მისო+საკრედიტო კავშირები	5.92%
3	საბროკერო კომპანიები	2.06%
4	სადაზღვეო კომპანიები	0.12%

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით

საბანკო ბაზარს რაც შეეხება, რაც უფრო კონკურენტულია საბანკო ბაზარი, ბაზარზე არსებობის, შესვლისა და გამოსვლის პირობები უფრო თავისუფალია, ხოლო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე და დეპოზიტების მომგებიანობის

მაჩვენებელი უფრო მისაღები მომხმარებლებისთვის. საქართველოს საბანკო ბაზარი რომ განვიხილოთ სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით ამ მხრივ უფრო ცუდი მდგომარეობაა, ვინაიდან ქართულ საბანკო ბაზარზე არის რამდენიმე მსხვილი კომერციული ბანკი რომელიც ბაზარზე ძირითად მოთამაშედ გვევლინება, და ფლობს საბანკო ბაზრის უმეტეს ნაწილს. შედეგად ქართულ ბანკებში სასესხო და სადეპოზიტო პირობები გაცილებით არამომზიდველია. მთელი ბაზრის 74% ეკუთვნის საქართველოს ბაზარზე მოღვაწე 2 დიდ კომპანიას თიბისი ბანკსა და საქართველოს ბანკს ხოლო ბაზრის დანარჩენი 30% იყოფა საქართველოში მოქმედ სხვა ბანკებს შორის.

სწორედ ამ მონაცემებისა და საბაზრო წილის პროცენტულობის მიხედვით შესაძლებელია გარკვეულწილად მონოპოლურად ჩაითვალოს ეს ორგანიზაციები და რაღაც დოზით ზარალდება მომხმარებელი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში არამომგებიანია ბანკისთვის. საქართველოს საბანკო ბაზრის გააქტიურება ჯანსაღი კონკურენცია ორივე მხარის ინტერესში შედის, ვინაიდან ამ პროცესების შედეგად როდესაც ბაზარი იქნება კონკურენტული, გაიზრდება მომხმარებლის ნდობის ფაქტორი ბანკების მიმართ, და ისინი არ იქნებიან იძულებულები აუცილებლად ითანამშრომლონ ბაზრის ლიდერ ორგანიზაციებთან. კონკურენციის ამალგების შემთხვევაში იქნება მომხმარებლისთვის ბრძოლა თანაბარ პირობებში.

საბანკო საქმიანობის თანამედროვე მიღწევებმა და ტენდენციებმა შეძლო მისი მომხმარებლებისთვის ცხოვრების იმდენად გამარტვივება, რომ ნებისმიერი ბანკის მომხმარებელს, მიუხედავად იმისა იგი ფიზიკური პირია თუ ორგანიზაცია სთავაზობს პროდუქტების მთელ სერიას რომელის შექმნა და სარგებლობა შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში და არ არის საჭირო ფილიალში მისვლა, რიგის ლოდინი და ა.შ.

აღნიშნული თანამედროვე მიღწევები და ტენდენციები რადიკალურად განსხვავდება იმ პერიოდისგან როდესაც ფულის მიმოქცევა ხდებოდა მხოლოდ ნაღდი ანგარიშწორებით. დღეისათვის ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს გარკვეულ საქმიანობას ანგარიშსწორებას ახორციელებს უნაღდო გადარიცხვით, რომელიც ძალიან მარტივია და გაძლევს დროის მოგების საშუალებას. ხშირ შემთხვევაში უნაღდო ანგარიშსწორების დადებითი მხარეა ისიც, რომ

სახლიდან გაუსვლელად ონლაინ რეჟიმში შესაძლებელია ნებისმიერი პროდუქციის თუ მომსახურების შეძენა და მიღება მარტივად და კომფორტულად. უნაღდო ანგარიშწორებას მთელი რიგი დადებითი მხარეები აქვს და იგი შეიძლება ჩაითვალოს დროის დანაზოგად, უხერხულობების და დამაბულობების მოხსნის საშუალებად, ანგარიშსწორების მარტივ საშუალებად ნებისმიერ ობიექტში, ტრანსპორტში. საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხის შემთხვევაში ბანკი ერთგვარი გარანტიაა, რომ ეს ფული თქვენი ნებართვის გარეშე არცერთ შემთხვევაში არ გახდება სხვისი საკუთრება. ამ ერთი შეხედვით მარტივი პროცედურების უკან არის ძალიან რთული და საპასუხიმგებლო საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს ბანკი თავისი თანამედროვე ტექნოლოგიების, ონლაინ ვებ გვერდების, და კვალიფიციური სათანადო მომზადების მქონე თანამშრომლების წყალობით.

ეს მარტივი პროცესი თავის მხრივ ხელს უწყობს ნებისმიერი ბიზნეს სუბიექტის საქმიანობას, გარკვეულ შემთხვევაში იგი გვევლინება შუამავალ კომპანიადაც, რომელიც აფინანსებს მომხმარებლის მოთხოვნებს და სურვილებს, შეიძინონ ესა თუ ის საქონელი ან მომსახურება. საბანკო სექტორის მიღწევები შედარებით მაღალი მაჩვენებლით დადებითად აისახება სამშენებლო სექტორზე, ვინაიდან უძრავი ქონების რეალიზაციის ერთერთ უმსხვილესი დამფინანსებელი სწორედ საბანკო სექტორია. თანამედროვე სამყაროში წარმოუდგენელია ცხოვრება საბანკო სფეროს გარეშე, არამარტო სესხის წყარო და ფულის აღების ადგილი არამედ ფინანსური ანგარიშსწორების მამოძრავებელი ძალა.

საბანკო სექტორის თანამედროვე ტენდენციები და მიღწევები დადებითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე, თუმცა დღეის მდგომარეობით საქართველოს საბანკო ბაზარი არ გამოირჩევა საპროცენტო განაკვეთის დაბალი მაჩვენებლით. ეს გამომდინარეობს იმისგან, რომ საბანკო ბაზარი საკმარისად კომპურენტული არაა. დღეის მდგომარეობით ლარში გაცემული სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი 14%, ხოლო უცხოურ ვალუტაში უფრო ნაკლები. გაცილებით დაბალია სესხებით სარგებლობის განაკვეთი საზღვარგარეთ ევროპის ქვეყნებში სადაც საპროცენტო განაკვეთი 2-5% შორის მერყეობს. ასეთი სხვაობა ძირითადად გამოწვეულია გასასესხებელი ფულის არარსებობით ვინაიდან დეპოზიტების რაოდენობა საქართველოს ბაზარზე მოღვაწე ბანკებში გაცილებით

დაბალია სესხების მოთხოვნაზე. ამ პრობლემის გამო ბანკები იძულებულნი არიან დააწესონ მაღალი საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე, რათა მოიზიდონ კაპიტალი გასასესხებლად. ამავდროულად ბანკებს უწევთ ნაღდი ფულის აღება ეროვნული ბანკისგან, რომელიც ბანკებს ფულს აძლევს სესხის პრინციპით. გამომდინარე აქედან ბანკი ვეღარ ახერხებს იმ ფულის გასესხებას დაბალ საპროცენტო განაკვეთში, რომლის სარგებლობა მასაც საკმაოდ ძვირი უყდება.

ზოგადი მონაცემები რომ ავიღოთ, დაბალი საპროცენტო განაკვეთი კარგია არამარტო მხოლოდ მსესხებელისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ზრდას უწყობს ხელს. თანაბარ პირობებში საპროცენტო განაკვეთის შემცირება უდრის ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ზრდას დროის მცირე მონაკვეთში. აქედან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა რომ, თუ გვინდა სესხები გაიფედეს, და ამით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების სტაბილური ზრდა დაიწყოს აუცილებელია საბანკო სექტორის განვითარება და წახალისება. რაც უფრო მეტი ბანკი იქნება ბაზარზე წარმოდგენილი, კონკურენციის პირობებში ისინი იძულებული იქნებიან დაწიონ საპროცენტო განაკვეთები არსებული მომხმარებლის შესანარჩუნებლად და ახლის მოსაზიდად.

თავი II. საბანკო სექტორის სახელმწიფო ზედამხედველობა და რეგულირება

2.1. საბანკო საქმიანობის რეგულაციები და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა

ქვეყნის საფინანსო - საკრედიტო სისტემაში მნიშვნელოვანი სამართლებრივი ელემენტია საბანკო რეგულირება, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს მოთხოვნათა დაცვის ერთგვარ სისტემას. ეს მოთხოვნები რადიკალურად განხსვავებულია იმ მოთხოვნებისაგან, რომლებიც ეკისრება სხვა იურიდიულ პირებსა და კომპანიებს. საბანკო ზედამხედველობა იმ ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომლითაც სახელმწიფო რწმუნებული ორგანო არეგულირებს და კონტროლს უწყევს საკრედიტო ორგანიზაციებისთვის დაწესებული ეკონომიკური ნორმატივების დაცვას, კერძოდ აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი სახსრების მდგომარეობას.

საბანკო რეგულირება საკმაოდ ფართო მცნებაა და თავის მხრივ გულისხმობს უფლებამოსილი ორგანოების მიერ შექმნილ კანონმდებლობის შესაბამისი წესებისა და ნორმების შემუშავებას და გამოცემას, რომელიც შემდგომ განსაზღვრავს საბანკო საქმიანობის ლიცენზირებას და სტრუქტურას.

ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობის ლიცენზიას გასცემს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირზე, რომლის განაღდებული და განცხადებული კაპიტალის ოდენობა და საბანკო საქმიანობის განსახორციელებლად დაკავებული ფართობი აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო ადმინისტრატორი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი შეესაბამებინან „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ კომერციული ბანკის ადმინისტრატორისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის შესაფერისობის კრიტერიუმებს. (საქართველოს.....2009: მუხლი 48).

საბანკო საქმიანობის რეგულირება განსაზღვრავს იმ ჩარჩოებსა და ასპექტებს რომელიც ხელს უწყობენ ერთის მხრივ, მაღალი ხარისხის მომსახურების სფეროს შექმნას და ჯანსაღი კონკურენტუნარიის ჩამოყალიბებას საბანკო საქმიანობის

მიმართულებით და მეორეს მხრივ საიმედო და სანდო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომელიც იმსახურებს მოსახლეობის მაღალ ნდობას. ეს კი საერთო ჯამში ხელს უწყობს ეფექტური საბანკო სისტემის შენარჩუნებას.

საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მთავარი მიზანია საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება, კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკების თავიდან აცილება და ბანკის მომხმარებელმის ინტერესის მაქსიმალურად დაცვა, ხოლო საბანკო ზედამხედველობის მთავარია ამოცანაა არა კონკრეტული დეპოზიტარის ან მსესხებლის ინტერესების დაცვა, არამედ საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება ე.ი არ დაუშვას სისტემური კრიზისი.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, როგორც საბანკო საქმის მსოფლიო გამოცდილების პრაქტიკა გვიჩვენებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბანკების ზედამხედველობის რეგულირების სრულყოფის პროცესში ახალი ტიპის ფინანსური ანგარიშგებების დანერგვას, რომლებიც თავის მხრივ ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობასთან ერთად გაითვალისწინებენ რისკების მენეჯმენტისა და ბანკების კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებას, საბანკო საქმიანობის ყოველმხრივი ანალიტიკური და კომპლექსური შეფასების შესაძლებლობებს, რაც აუცილებელია საქართველოს საბანკო სექტორის გამართული ფუნქციონირებისთვის.

მსოფლიოს მაშტაბით თითქმის ყველა მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყანა ახორციელებს საბანკო სექტორის რეგულაციას. ზოგიერთ ქვეყანაში რეგულაციის ეს ნაწილი საკმაოდ მკაცრია და კონტროლდება, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში ეს რეგულაციები უფრო ლმობიერია, თუმცა აღასნიშნავია რომ საბანკო სექტორის გარკვეულწილად რეგულირება აუცილებელია.

მსოფლიოს გამოცდილებით საბანკო რეგულაციის წარმატებისთვის გამოიკვეთა ძირითადი პრინციპები:

პირველი და აუცილებელი პირობას რეგულაციების პრინციპებიდან წარმოადგენს ის, რომ საბანკო სისტემის რეგულაცია უნდა წარმოადგენდეს სისტემურ და საყოველთაო ხასიათს, რადგან მოხდეს კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის რეალური და დროული შეფასება, გამოვლინდეს ფაქტები

და გარემოებები რომლებიც საფრთხის შემცველი იქნება კრედიტორებისა და მენაბრეებისათვის. ასევე აუცილებელია შემოწმდეს საბანკო და სავალუტო კანონმდებლობის შესრულების დონე და ხარისხი.

მეორე პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ ბანკი ეკონომიკურად და ფინანსურად სრულიად დამოუკიდებელი სუბიექტია და მას შეუძლია სრული პასუხისმგებლობის აღება მისი საქმიანობის შედეგებსა და ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობაზე. მას უნდა გააჩნდეს საკუთარი თუ მოზიდული ან ნასესხები სახსრებისა და რესურსების დამოუკიდებლად განკარგვის საშუალება, და თვითონ უნდა გადაწყვიტოს რა რესურსს რაში გამოიყენებს. გარდა ამისა საკუთარ კრედიტორებსა და მენაბრეებს უნდა მისცეს არჩევანის თავისუფლება, და სრულიად შეუზღუდავად უნდა შეეძლოს საქმიანობის შედეგად მიღებული სარგებლის გამოყენება მას შემდეგ რაც მოახდენს სახელწიფოს მიერ დაწესებულ გადასახადების შესრულებას. იგი სრულიად პასუხისმგებელია საკუთარ ოპერაციებზე და ბრუნვებზე.

მესამე პრინციპის მიხედვით აუცილებელია კლიენტებსა და ბანკს შორის ურთიერთობა უნდა წარმოებდეს საბაზრო ურთიერთობების პრინციპების შესაბამისად. იგი ვალდებულია სესხის გაცემისას შეაფასოს რისკისა და ლიკვიდურობის გარკვეული ზომები.

მეოთხე პრინციპის თანახმად სახელწიფო ბანკს არ აიძულებს საკუთარ ჩარჩოებსა და შეზღუდვების აუცილებლად შესრულებას, უბრალოდ სახელმწიფო უწესეს ბანკებს „თამაშის წესს“ და აძლევს საშუალებას ამ წესებს მოარგოთ საკუთარი საქმიანობა და პროდუქტები.

წარმოდგენილი პრინციპების და ეტაპების გავლით სახელმწიფო ქმნის საბანკო საქმიანობისთვის საჭირო ჯანსაღ გარემოს და ამასთან უზრუნველყოფს მათ სტაბილურ და უსაფრთხო საქმიანობას.

საქართველოში კომერციული ბანკების საქმიანობა რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ და საქართველოს კანონით საბანკო საქმიანობის შესახებ. საქართველოს ეროვნულ ბანკს აფუძნებს საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო და მისი საქმიანობაც რეგულირდება კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“.

ეროვნული ბანკის ამოცანები და ფუნქციები:

1. შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად;
 2. განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;
 3. უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;
 4. ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;
 5. იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი;
 6. ხელი შეუწყოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას;
 7. განახორციელოს საქართველოს ფულის ნიშნების ემისია;
 8. საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკა“.
- (საქართველოს....2009: მუხლი 3)

საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი და უპირველესი ამოცანაა ქვეყნის საფინანსო საკრედიტო სისტემის ლიკვიდურობის გაზრდა, მონეტარული პოლიტიკის შემუშავება და საბანკო სექტორის მუდმივი კონტროლი და ზედამხედველობა. ეროვნული ბანკი მუდმივი მონიტორინგის საშუალებით აკონტროლებს რომ კომერციული ბანკები იყვნენ:

1. საიმედონი - არ უქმნიდნენ საფრთხეს მენაბრეებსა და მსესხებლებს.
2. ფინანსურად მდგრადი - ეწეოდნენ გამჭვირვალე ფინანსურ საქმიანობას.

ეროვნული ბანკი აყალიბებს ზედამხედველობის გარკვეულ სქემას რომლის საშუალებით ფასდება კომერციული ბანკების რისკების ხარისხი, იკვეთება მათი რესურსები წარმოშობილი რისკების სამართავად და ადგენს რისკებისა და რესურსების ერთანეთთან ბალანსირების დონეს.

საბანკო საქმიანობის შესახებ ზოგადი გადაწყვეტილებების მიღება ხდება ბანკის მმართველობითი ორგანოს ანუ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ხოლო ეროვნული ბანკი აწესებს რეგულაციების ისეთ მაჩვენებლებს როგორცაა:

1. საბანკო ლიცენზიის აღება და გაუქმება;

2. შეზღუდვებისა და სანქციების დაწესება;

3. რეგულაციებისა და მარეგულირებელი სტანდარტების ფორმირება;

ეროვნულ ბანკს აქვს ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობის ძირითადი ასპექტები და ამასთან ერთად დიდი ინტერესის საგანია საბანკო სექტორის რეგულირების საერთაშორისო მექანიზმები რომლებმაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული და საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. საერთაშორისო რეგულაციის მეთოდებიდან ყველაზე ცნობილი და ეფექტურია ე.წ. CAMEL-ი რომელიც ეფუძნება შემდეგი კომპონენტების შეფასებას:

➤ კაპიტალის ადეკვატურობა- საბანკო საქმიანობის რეგულირების მთავარ ბერკეტს წარმოადგენს კაპიტალის ადეკვატურობა, მისი მინიმალური მოთხოვნები და შესრულების კონტროლი, კაპიტალი საბანკო საქმიანობის სტაბილურობისთვის საიმედოობისთვის და მდგრადობისთვის აუცილებელი ელემენტია. იგი წარმოადგენს ფინანსური დანაკარგებისა ზარალის დაფარვის ძირითად წყაროს. საქართველოში ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრა და შეფასება ხდება ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კოეფიციენტებისა და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მაჩვენებლის მიხედვით.

➤ აქტივების ხარისხი - აქტივების ხარისხის ანალიზის ძირითადი მიზანია ბანკის აქტივების მდგრადობის შეფასება. აქტივების ხარისხის შეფასება ხდება სპეციალური მაჩვენებლით კოეფიციენტებით სადაც შეფასება ხდება 1-დან 5-მდე კრიტიკულიდან საუკეთესოსაკენ.

➤ ბანკის მენეჯმენტის შეფასება - წარმოადგენს ყველაზე რთულ და ამავდროულად ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას. ბანკის მენეჯმენტის შესასება ხდება რამდენიმე ურთიერთკავშირში მყოფი ელემენტებისგან რომელთაგან ძირითადია მენეჯმენტის ადეკვატურობა და რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობა.

➤ მოგება შემოსავლიანობის ანალიზი - სადაც ყურადღება ეთმობა შემოსავლის წყაროს სტაბილურობას. ამ დონეზე მოწმდება საპროცენტო განაკვეთებიდან მიღებული შემოსავლები, წმინდა საპროცენტო მარჟა, აქტივებსა და კაპიტალზე უკუგების ROE და ROA კოეფიციენტები და ა.შ.

➤ ლიკვიდურობა - კომერციული ბანკებისთვის ლიკვიდურობაში იგულისხმება ვალდებულებების დროულად შესრულების უნარი. ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად ბანკებს სამი ძირითადი საშუალება გააჩნიათ და ამ საშუალებებს იყენებენ. პირველია ის საქონელი რომლის ფულად გცევა ძალიან მარტივია დროის მცირე მონაკვეთში. შემდეგია ლიკვიდურობის ლიმიტები რომელსაც ადგენენ ბანკის შემმოწმებლები, ისინი ადგენენ ლიკვიდობის გარკვეულ ლიმიტებს, მათ გააჩნიათ დაფარვის უფრო ნაკლები ვადა, ვიდრე მათ საბოლოო დაფარვის ვადაა, რათა აისახონ სასაქონლო აქტივებში. და მესამეა სახსრების სესხება ბაზარზე, რათა გათანაბრდეს ფულის მასის მოძრაობა დროის გარკვეულ დიაპაზონში. რეგულაციის ყველა ატეპზე მნიშვნელოვანია სწორად დ ადეკვატურად შეფასდეს აქტივების ხარისხი, რომელსაც ფინანსურ ანგარიშში აუცილებელი როლი აკისრია. აქტივების ხარისხში მოაზრება ბანკის ის საშუალება და ფულის მასა რომლითაც უნდა მოემსახუროს მსესხებლის მოთხოვნას და ფულის ის რაოდენობა რომელიც უნდა გადაუხაროს დეპოზიტარს საპროცენტო სარგებლის სახით. აქტივების ხარისხთან დაკავშირებული მიზეზები ხდება ხშირად ბანკის გაკოტრებისა და ლიკვიდაციის მიზეზი, მაშინ როცა დანაკარგები უფრო დიდია ვიდრე ბანკის ხელთ არსებული დანაკარგების დასაბალანსებლად არსებული აქტივები.

საბანკო რეგულაციის ერთერთი აუცილებელი პირობა რისკების კონცენტრაციის შეფასება. ეს ელემენტი კომერციული ბანკისთვის აუცილებელია ვინაიდან, რაც უფრო მარალია კონცენტრაციის მაჩვენებელი მით მეტია დანაკარგის პოტენციალი.

მეორე და ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი საერთაშორისო საბანკო რეგულაცია გახლავთ ბაზელის კომიტეტი, რომელიც მოქმედებს ასევე საქართველოში. იგი დაარსდა 1974 წელს 10 ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ. კომიტეტი აყალიბებს საბანკო ზედამხედველობის საერთო სტანდარტებსა და რეკომენდაციებს რომელიც ცნობილია ბაზელ I ბაზელ II და უახლესი ბაზელ III სახელით. ბაზელის კომიტეტს საკვანძო და მნიშვნელოვანი როლი აკისრია საბანკო ზედამხედველობის განხორციელებაში. ის წარადგენს საბანკო სექტორის რეგულაციებს და აწესებს მიმართულებებს მსოფლიოს მასშტაბით. კომიტეტის წევრობა მკაცრად

რეგლამენტირებულია და ამჟამად აერთიანებს მსოფლიოს მაშტაბით 28 ქვეყნის ცენტრალურ ბანკს. კომიტეტის მიერ წარმოდგენილი დებულებები სავალდებულო ხასიათს არ ატარებს, თუმცა მისი გამოყენება ნებისმიერ ბანკს შეუძლია. ბაზელის კომიტეტის გარკვეულ ჩარჩოებს ემორჩილება საქართველოს ეროვნული ბანკი, ვინაიდან ის საერთაშორისო სავალუტო ფონდებთან, მსოფლიო ბანკთან და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ერთერთი მთავარი პირობაა. სწორედ ბაზელ III -ის მეთოდზე გადასვლაა ბოლო 2 წლის განმავლობაში დანერგილი მთელი რიგი რეგულაციების და ცვლილებების მიზეზი.

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი საბანკო რეგულაცია დაწესდა. 2017 წელს ცვლილებები შევიდა ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ რის შემდეგაც ეროვნულ ბანკს დაეკისრა მოვალეობა ზედამხედველობა გაუწიოს მთელ საფინანსო სექტორს, რაშიც მოიაზრება;

1. კომერციული ბანკები;
2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
3. არასაბანკო სადეპოზიტო ორგანიზაციები;
4. საფონდო ბირჟები და ა.შ.

2017 წელს დამტკიცდა და ამოქმედდა ბაზელ 3-ის ჩარჩოზე დაფუძნებული პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გაცემისა და გამჟღავნების წესი, რაშიც ასახულია ხარისხობრივი და რაოდენობრივი სტატისტიკური მონაცემები აქტივების, კაპიტალის, შეწონილი აქტივების, მენეჯმენტის ანაზღაურების და სხვა სახის აქტუალური ინფორმაციები. 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სესხების გაცემის ახალი ინსტრუქცია, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რისი მთავარი ამოცანაა სასესხო პორთფელის რისკიანობის მაჩვენებლის შეფასება. 2018 წლის მაისიდან დაწესდა შეზღუდვა არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების გაცემის წესშიც, რაც გულისხმობს რომ ბანკს არ შეუძლია არაუზრუნველყოფილი სესხის სახით გასცეს მისი კაპიტალის 25% მეტი, შეიცვალა მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს 50%. დაწესდა დეპოზიტების დაზღვევის წესები, გარკვეულ ჩარჩოებსა და ნორმატივებს დაექვემდებარა ონლაინ

და სწრაფი სესხების გამცემი ორგანიზაციები, რაც უზრუნველყოფა არაკვალიფიციური ორგანიზაციების საბანკო ბაზრიდან გასვლას. ამ ცვლილებებთან ერთად დაწესდა სესხის მომსახურების კოეფიციენტის ე.წ PTI მონიმალური ზღვარი რომელიც შეიძლება გათვალისწინებული იქნას სესხის გაცემისას, რისი დაწესების პირდაპირი დანიშნულებაც გახლავს მომხმარებლისთვის საჭირო საარსებო ფინანსური სახსრების შენარჩუნება გახლდათ. აუცილებელი პირობა გახდა სასესხო პროდუქტის გაცემისას ყველა სახის შემოსავლის დადასტურება დოკუმენტალურად, შემოსავლის წყაროს შესაბამისად ხსვადასხვა საშუალებით.

ყველა შეზღუდვა და სტანდარტი, რასაც კომერციული ბანკებს ზოგადად საფინანსო სექტორს უწესებს ეროვნული ბანკი მიმართულია ამ სფეროს გამჭვირვალე და ეფექტური საქმიანობის ხელშეწყობისაკენ, მოსახლეობის ინტერესების დაცვისაკენ და ჭარბვალთანობის შემცირებისაკენ. ჭარბვალთანობის მაჩვენებლით რეგულაციის დაწესებამდე შეიძლება ითქვას რომ საქართველოსი კრიტიკული მდგომარეობა იყო.

წარმოდგენილი რეგულაციების ამოქმედების შემდეგ, ერთბაშად ამ მკაცრ შეზღუდვებზე გადასვლამ მანამდე არსებული შედარებით ლმობიერი პოლიტიკიდან საკმაოდ რთული მდგომარეობაში ჩააყენა საბანკო სექტორი და ბიზნესის თითქმის ყველა მიმართულება, ვინაიდან ბანკები ვეღარ ახდენდნენ შემოსავლის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მინიმალურ ზღვარზე მეტის გათვალისწინებას სასესხო პროდუქტში. ამის გამო შეიქმნა გარკვეული პრობლემები და რამდენიმე კომპანიას სავალალო შედეგებიც მოუტანა, რომლებიც სრულად დამოკიდებული იყვნენ ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე და საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებდნენ საბანკო შესყიდვებით, თუმცა ამ შეზღუდვის მთავრი დადებითი შედეგი ჭარბვალთანობის შემცირებაა მოსახლეობაში.

2020 წლიდან რამდენიმე ცვლილება შევიდა ეროვნული ბანკის რეგულაციებში, რაც ეროვნული ბანკის განვართებით გულისხმობს „წესებზე დამყარებული მიდგომიდან პრინციპებზე დამყარებულ მიდგომაზე გადასვლაა,,

2020 წლის აპრილიდან იცვლება შემოსავლის დადასტურების მეთოდების შესწავლა, შემოსავლის შესწავლა აუცილებელი იქნება მაგრამ შესწავლის მეთოდები ინდივიდუალურად დააწესებენ ბანკები გარკვეული სტანდარტების მიხედვით,

იცვლება სესხის მოსახურების კოეფიციენტის ლიმიტი და არსებულთან შედარებით უფრო მაღალ ნიშნულამდე ადის, ეს ცვლილება ეხება შემოსავალს როგორც ეროვნულ ასევე უცხოურ ვალუტაში. იზრდება ლარში გაცემული იპოთეკური სესხების ვადიანობა.

ზემოთ განხილული რეგულაციები და სტანდარტები რომელიც წესდება ეროვნული ბანკის მიერ, მაქსიმალურადაა მორგებული საქართველოს მოსახლეობის ფინანსურ მდგომარეობას და ყველა რისკ ფაქტორისა და ნორმატივების გათვალისწინებით დგინდება. რეგულაციის ყველა ელემენტის რეგლამენტირება და კონტროლი აუცილებელია ნებისმიერი საფინანსო ინსტიტუტის ღია და ფინანსურად გამჭვირვალე საქმიანობის განსახორციელებლად. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ეკონომიკური განვითარებადობა ბადებს ალბათობას საქართველოს საბანკო სექტორი ეროვნული ბანკის რეგულაციების გარეშე გახდეს ფულის გათეთრების და კორუფციული გარიგებებისთვის საჭირო ფულადი სასხრების ერთერთი დიდი გამტარი ქსელი.

ეროვნული ბანკის რეგულაციებით დაცულია არა მხოლოდ მომხმარებლების, ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესები რომლებიც იყენებენ ბანკებს სესხების ასაღებად თუ დეპოზიტების განთავსებისთვის, არამედ იგი იცავს წესებს საფინანსო ბაზარზე, ქმნის კონკურენტულ გარემოს, აძლევს მცირე და საშუალო ფინანსურ კომპანიებს განვითარებისა და გაძლიერების საშუალებას, არეგულირებს და აკონტროლებს ყველა მექანიზმისა და სტანდარტის შესრულებას რაც დაწესებულია ეროვნული ბანკის მხრიდან, რაც აისახება რეგულარულ აუდიტორულ შემოწმებებსა და მიღებულ დასკვნებში.

განხილული რეგულაციებისა და სტანდარტების მიხედვით, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საბანკო საქმიანობის რეგულაცია აუცილებელია ამ სექტორის განვითარებისთვის და ეფექტიანად მუშაობისთვის. დროულად და დადგენილი წესების შესაბამისად ადვილია განისაზღვროს სამომავლო ტენდენციები, სწორად ჩამოყალიბდეს და შეფასდეს რეგულაციებისა და ცვლილებების დადებითი ასპექტები დროში. სწრაფად და ხარისხიანად მოხდეს რისკებისა და შესაძლო ნეგატიური პროცესების გამოვლენა და აღმოფხვრა, მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს ტენდენციები იმის შესახებ რომ ძალიან

მკაცრმა შეზღუდვებმა არ გამოიწვიოს საბანკო საქმიანობის მიმართ ინტერესის შემცირება. ჩამოყალიბებული სტრატეგიებითა და გარკვეული წახალისებებით მოხდეს საბანკო სექტორის განვითარების ხელშეწყობა, ვინაიდან რაც უფრო მეტი ორგანიზაცია იქნება წარმოდგენილი საბანკო ბაზარზე, მით კონკურენტული იქნება ბაზრის სტრუქტურა, რაც აიძულებს ნებისმიერ მათგანს მაქსიმალურად ხარისხიანი მომსახურება და პროდუქტები შექმნას არსებული მომხმარებლების შესანარჩუნებლად და ახალი კლიენტების მოსაზიდად.

თითველ მომხმარებელს აუცილებლად უნდა ქონდეს ნდობის მაღალი ხარისხი პირველ რიგში ბანკის მიმართ და შემდგომ უკვე მისი მაკონტროლებელი სახელმწიფო სტრუქტურის, წამოდგენილ შემთხვევაში ეროვნული ბანკის მიმართ, რომ ორგანიზაცია რომელთანაც თანამშრომლობს ის ნამდვილად სანდო და ხარისხიანი მომსახურებას გაუწევს. ყველაფერი ეს მიიღწევა საფინანსო ინსტიტუტისა და სახელმწიფო სტრუქტურის ერთობლივი და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელებისას, შესაბამის რეგულაციებთან და ნორმატიულ სტანდარტებთან ერთად.

2.2. საბანკო სისტემები უცხოეთის ქვეყნებში და საქართველოს რეალობა

საბანკო სექტორი ყველა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაში უდიდესი როლის მატარებელია. რამდენიმე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა საბანკო სექტორის ხელშეწყობითა და საბანკო სფეროს განვითარებით, შეძლეს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ აისახა ქვეყნის ეკონომიკურ და ინვესტიციურ გარემოზე, გაუმჯობესდა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი, გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტი და ქვეყნის განვითარების სწრაფი ტენდენციები გამოიკვეთა.

საქართველოს საბანკო სისტემის შედარება სხვადასხვა სახელმწიფოს საბანკო სისტემასთან, თვალსაჩინოდ წარმოგვიგდენს რა უნდა გააკეთოს საქართველოს სახელმწიფომ და საბანკო სექტორმა ერთიანი კოორდინირებული მუშაობის პირობებში, რომ შეძლოს და მიუახლოვდეს ცენტრალური ევროპისა და ამერიკის ან თუნდავ აზიის ეკონომიკურად მაღალ საფეხურზე მდგარ სახელმწიფოებს,

რომლებშიც საბანკო სექტორის განვითარების დონეზეა გარკვეულწილად დამოკიდებული ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც რომ საქართველოს საბანკო სისტემა ვერიქნება ,მსგავსი სხვა განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემისა, რადგან იგი დამოუკიდებლად არსებობის რამოდენიმე ათწლეულს ითვლის და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების და განვითარების პროცესშია.

მიუხედავად იმისა რომ საქართველოს საბანკო სისტემა საკმაოდ ახალგაზრდაა, ბაზარზე მაინც გვხვდება საკმაოდ დიდი კომერციული ბანკები, რომლებიც წარმოდგენილი არიან სხვადასხვა ქვეყანაში, საკმაოდ მზარდი პორტფელის და კაპიტალის მაჩვენებლებითა და კონკურენტული და მაღალი ხარისხის საბანკო პროდუქტებით.

საქართველოსთან შედარებით საკმაოდ დიდი ისტორიის მქონეა იტალიის საბანკო სისტემა. სიტყვა banko იტალიური წარმოშობისაა და დახლს, მაგიდას ნიშნავს. თავდაპირველად იტალიის სავაჭრო ქალაქებში საქონლის ბრუნვა, ყიდვა, გაყიდვა ხდებოდა მონეტებით რომლებსაც ჭირდებიდა შეფასება და შემოწმება. სწორედ ამ საქმით იყვნენ დაკავებული ე.წ banko- ს ანუ მაგიდის მფლობელები. სწორედ ამ ხალხმა დაიწყო პირველად ხალხის მიერ მოწოდებული თავისუფალი სახსრების გასხვისება მოთხოვნის მიხედვით, გარკვეული სარგებლის სანაცვლოდ, რომელაც საპროცენტო სარგებელი ქვია. შემდეგ ამ ოპერაციებმა თავი მოიყარა ერთ სივრცეში რომელსაც ბანკი ეწოდა. სახელწოდებით ბანკი თანამედროვე ეტაპზე ორი ძირითადი სექტორი სარგებლობს. ეს არის ცენტრალური (ეროვნული ბანკი) და კომერციული ბანკები.

იტალიის საბანკო სისტემა ყველაზე ძველია მსოფლიოში და ასევე იტალიური წარმოშობისაა ძალიან ბევრი საბანკო ტერმინი, რომელიც თანამედროვე საბანკო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. იტალიაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში მიმდინარეობდა საკმაოდ მაღალი დონის საბანკო ურთიერთობები. აქედან გამომდინარე მსოფლიოში ოთხი უძველესი ბანკი აქ წარმოიშვა. ამათგან პირველი სახელწოდებით „ბანკო“ 1539 წელს დაარსდა. შუა საუკუნეებიდან დღემდე იტალიის საბანკო სისტემამ დიდი განვითარების პერიოდი განვლო. იტალიის თანამედროვე საბანკო სისტემა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით,

მრავალი განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება. აქ პირველად ცენტრალური ბანკი 1893 წელს დაარსდა. თანამედროვე პირობებში იტალიის ცენტრალური ბანკი ცვლილებებს განიცდის ევროკავშირის ერთიანი ეკონომიკური ტენდენციების შესაბამისად. რაც შეეხება კომერციულ ბანკების საქმიანობას იტალიაში ფუნქციონირებენ ბანკები რომლებიც დაკავებული არიან მხოლოდ მოკლევადიანი საქმიანობით და საშუალო ან გრძელვადიანი სესხების გაცემით.

ეს გამიჯვნა იტალიაში კანონმდებლობით იქნა მიღებული 1929-1933 წლებში. საფინანსო ჯგუფებს შორის რომლებიც გამოირჩევიან მოკლევადიანი კრედიტების სარგებლობით არიან: სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტები, ეროვნული ბანკები, არასახელმწიფო ეროვნული ბანკები და შემნახველი სალაროები, ასევე სასოფლო-სამეურნეო დამიშნულების სალაროები და სოციალიზერებული საკრედიტო ინსტიტუტები.

დღევანდელი მდგომარეობით სერიოზულ სირთულეებს განიცდის იტალიის საბანკო სექტორი, რომელიც დამძიმებულია ჯამში 360 მილიარდი ევროს დაუფარავი სესხებით. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე საკმაოდ შემცირებულია ინვესტიციები საბანკო სფეროში. 2020 წლის მონაცემებით, რაც უკავშირდება covid 19- ის პანდემიას იტალიის საბანკო სექტორის აქციები 80% გაიფდა.

საბოლოოს რომ შევაფასოთ იტალიის საბანკო სისტემამ თითქმის დაკარგა შუა სააუკეებში არსებული მდგომარეობის მაჩვენებლები. იტალიის საბანკო სისტემის შესუსტება ნეგატიურად აისახება მოსახლეობისა და ქვეყნის ეკონომიკურ მდომარეობაზე და ეს საკმაოდ მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა ეკონომიკური კრიზისის ზღვარზეა.

საკმაოდ საინტერესო და გამორჩაული საბანკო სისტემა აქვს გერმანიის რესპუბლიკას. აქ ბანკი პირველად 1590 წელს დაარსდა. გერმანიის საბანკო სისტემა შედგება სამი ძირითადი მიმართულებისგან:

1. კერძო ბანკები;
2. კომერციული ბანკები;
3. სახელმწიფოს შემნახველი ბანკები;

გერმანიაში ყველაზე წარმატებული და დიდი კაპიტალის მქონე ბანკია დოიჩე ბანკო რომელიც 1870 წელს დაარსდა და წარმოდგენილია ევროპის აზიისა და

ამერიკის საბანკო ბაზარზე. აქ 100000 ადამიანი მუშაობს და 2019 წლის მონაცემებით 2 ტრილიონი აშშ დოლარის აქტივების მფლობელია.

გერმანიის მაშტაბით საკმაოდ დიდი კოოპერატიული ბანკები და სახელმწიფო შემნახველი ბანკები. რაც შეეხება საბანკო საქმიანობი რეგულირებას, გერმანიაში არამარტო ეროვნული ბანკი, არამედ სხვა სპეციალური საზედამხედველო ორგანიზაციებია ჩართული, როგორცაა ფინანსური ზედამხედველობის ფედერალური სამმართველო. სწორედ ფინანსური ზედამხედველობის ფედერალური სამმართველოა ძირითადი პასუხისმგებელი ორგანო საბანკო ზედამხედველობის. ეროვნულ ბანკსა და ზედამხედველობის ფედერალურ სამმართველოს განაწილებული აქვთ ფუნქციები და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ძალიან მაღალი დონის, შედეგზე ორიენტირებული და საკმაოდ მზარდი მაჩვენებლების მქონე ფინანსური ინსტიტუტები, რომლის აქციებიც წარმოდგენილია არაერთ საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანელი ხალხისთვის საბანკო პროდუქტები ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ მოთხოვნის შესაბამისად ბანკები და პატარა ფილიალები თუ სერვისცენტრები გვხვდება ქვეყნის თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში.

საბანკო სისტემის წარმატებულობას გერმანიაში მეტწილად მისი სწორი და ეფექტური დაყოფა უზრუნველყოფს. ფუნქციების სწორი გადანაწილება და კარგი საზედამხედველო აპარატი იძლევა იმ შედეგს რაც თვალნათლივ გამოიხატება გერმანიის საბანკო სექტორში და არამარტო საბანკო სექტორში. ეს დასტურია იმისა რომ საბანკო სექტორს გარკვეულწილად დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

იტალიასთან და გერმანიასთან შედარებით საბანკო სისტემა ცოტათი გვიან ჩამოყალიბდა შვეიცარიაში. უძველესი შვეიცარული ბანკი ე.წ „საპროცენტო კომისია“ 1755 წელს შეიქმნა, რომელიც დღემდე ოპერირებს ბაზარზე უნივერსალური ბანკის სახელით. მისი ძირითადი საქმიანობა იპოთეკური დაკრედიტება და სავაჭრო ოპერაციებია.

შვეიცარიაში ე.წ ცენტრალური ბანკი 1905 წელს შეიქმნა. ცენტრალური ბანკი წარმოდგენილია ორი ძირითადი შტაბით და ოპერირებს ბერნში და ციურიხში.

სწორედ ამ ორ ფინანსური ზედამხედველობის რგოლში იყრის თავს ქვეყნის მამტაბით არსებული ყველა ფინანსური ინსტიტუტი. შვეიცარიას მსოფლიოს მამტაბით აქვს ყოველმხრივ მომზადებული და გამართული საბანკო სექტორი, იგი გამოირჩევა ყველაზე მაღალი საბანკო სიმჭიდროვით და ითვლება საერთაშორისო ფინანსურ ცენტრად. შვეიცარიის ბანკების საბალანსო თანხა ძალიან მნიშვნელოვანია და დაახლოებით სამჯერ აღემატება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ფულად რაოდენობას, თუმცა ამ თანხების დიდი ნაწილი, თითქმის ნახევარზე მეტი საზღვარგარეთულ ოპერაციებზე მოდის. საბანკო სიმჭიდროვის ასეთი მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია იმით, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით შვეიცარიას აქვს ყველაზე რბილი და ღმობიერი ადმინისტრაციული შეზღუდვები კომერციული ბანკის ლიცენზიის მიღებასა და ბანკების დარსებაზე ქვეყნის მამტაბით.

შვეიცარიის საბანკო სისტემა განასხვავებს კომერციული ბანკების 5 ძირითად ჯგუფს. ეს დაყოფა შვეიცარიული საბანკო სექტორის მთავარი სპეციფიკურობაა. ერთმანეთისგან გამოყოფენ:

1. კანტორალური ბანკებს - რომლებიც სამართლებრივი კუთხით სახელმწიფო საკუთრება და მასზე მთლიანი საბანკო სექტორის 18-20 % მოდის;

2. გროსბანკები (უმსხვილესის ბანკები) - რომლისთვისაც ძირითადად დამახასიათებელია მაღალი აქტივობები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ბაზარზე;

3. რეგიონალური ბანკები - რომლებიც ასრულებენ შემნახველი საღაროების ფუნქციებს და აფინანსებენ მცირე და საშუალო ინსტიტუტებს;

4. სასესხო კავშირები და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები - რომლებიც აგროვებენ სოფლის მოსახლეობის დანაზოგებს და სესხის სახით გასცემენ ადგილობრის სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებზე;

5. სხვა ბანკები - რომლებიც არაერთგვაროვანი ჯგუფია რომლის წილი თანამედროვე ეტაპზე მზარდი მაჩვენებლით ხასიათდება;

შვეიცარიის საბანკო სისტემა ასოცირდება პროფესიონალური, გონიერი და უსაფრთხო საბანკო საქმიანობასთან, რაც გამოიხატება მის ნეიტრალიტეტსა და საბანკო კომფიდენციალურობის დაცვაში.

როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანას შვეიცარიას აქვს თავისი დამახასიათებელი თვისებები საბანკო სისტემაში და ძირითადად ეს არის ობშორული ანგარიშების საიმედო სისტემა.

საბანკო საქმიანობის საკმაოდ საინტერესო თავისებურებებით გამოირჩევა იაპონიის საბანკო სისტემა. იაპონელები თავიანთი ადამიანური ღირებულებებითა და პასუხისმგებლობის მაღალი დონით ქმნიან სახელმწიფოს, რომელსაც უამრავმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და გეოგრაფიულმა ქარტეხილმა გადაუარა, გაუძლო დამანგრეველ ცუნამებსა და მიწისძვრებს, ატომურ აფეთქებასაც კი რომელიც II მსოფლიო ომის დროს გადაიტანა. მიუხედავად ამისა, იაპონიის ეკონომიკა დღეის მდგომარეობით ერთერთი ლიდერი ქვეყანაა. საკმაოდ საინტერესოა იაპონიის საბანკო სფერო. აქ საბანკო საქმიანობა დაყოფილია კატეგორიებად და კონკრეტული ბანკი კონკრეტული სახის მომსახურებას სთავაზობს თავის კლიენტებს. ცალკეა გამოყოფილი დეპოზიტების მიმღები ბანკი, ცალკე გვხვდება ფულის მიმოქცევისთვის მოქმედი ბანკები, ხოლო ცალკეა სესხების გამცემი ბანკები. გამომდინარე იაპონელი ხალხის კულტურის მაღალი დონისა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს საბანკო სფეროს განვითარებას. ნებისმიერი იაპონელი რომელიც დასაქმებულია და აქვს საკუთარი შემოსავალი ვალდებულია მისი შემოსავლის 20% შემნახველ ბანკში განათავსოს, რაც შემნახველ ბანკებს უჩენს თავისუფალ აქტივებს, რომლითაც შეიძლება სესხების დაფინანსება. ხოლო ბანკები მარტივად და საიმედოდ გასცემენ სესხებს რადგან, იაპონელები რომლებსაც ღებულობენ სამსახურში, აქვთ გარანტირებული მუდმივი სამუშაო და სტაბილური შემოსავალი. დასაქმებულს და დამსაქმებელს შორის იდება მუდმივი კონტრაქტი.

რაც შეეხება საბანკო რეგულაციებს აქ ბანკები მთლიანად ექვემდებარებიან ფინანსთა სამინისტროს, და არცერთი შეზღუდვა თუ რეგულაცია არ ატარებს ძალიან მკაცრ და კონტროლირებად ხასიათს. მითითების ან რეკომენდაციის სახით გაცემული ნორმები სრულდება უდაოდ და სხვა დამატებითი პირობის გარეშე.

იმ ეკონომიკურ მაჩვენებლებში, რასაც იპონიამ მიაღწია რამდენიმე წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს საბანკო სფეროს, ვინაიდან საბანკო სექტორის გამართული და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობა მოსახლეობას

აძლევს ფინანსურ რესურსს თავიანთი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. თავის მხრივ ფინანსურად მყარი და სტაბილური მოსახლეობა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის გარანტორია.

საკმაოდ საინტერესო და ძალიან ძლიერი საბანკო სისტემა აქვს თურქეთის რესპუბლიკას. აქ ჩამოყალიბდა ეგრეწოდებული ისლამური საბანკო სისტემა და საბანკო საქმიანობაში რელიგიური ასპექტები იკვეთება. ისლამური ბანკები ისლამური საფინანსო წესის მიხედვით მუშაობენ, რაც საკმაოდ სოლიდურ ფინანსურ რესურს ქმნის, რომელიც სრულიად თავისუფალი მოქალაქეების სახსრებისგან გროვდება. ისლამური სარწმუნოების მიხედვით ფულის გაპროცენტება და ამ საპროცენტო სარგებლის მიღება ეწინააღმდეგება რელიგიურ წეს-ჩვეულებას.

თურქეთის რესპუბლიკაში დაფუძნებული პირველი ბანკი გახლავთ იშბანკო რომელიც თავისი მაშტაბებით და აქტივებით ლიდერი ბანკია და 96 ადგილს იკავებს მსოფლიოს ყველაზე მსხვილ 1000 ბანკს შორის. ხოლო პირველი ეროვნული ბანკი თურქეთში 1924 წელს შეიქმნა მუსტაფა ქემალ ათათურქის თაოსნობით.

მეოცე საუკუნის დასაწყისში თურქეთის მთავრობამ მოახდინა საბანკო სექტორთან შეთანხმებით სუფსიდირებული გრძელვადიანი სესხების გაცემა, რამაც თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობა რამდენიმე წელიწადში საგრძნობლაად გააუმჯობესა.

წარმოდგენილი ქვეყნების საბანკო მონაცემები რომ შევადაროთ საქართველოს საბაკო სისტემას საკმაოდ საინტერესო სურათის მიღება შეიძლება, ვინაიდან ნებისმიერი წარმოდგენილი ქვეყნის საბანკო სისტემა გაცილებით მარალ დონეზე დგას საქართველოს საბანკო სისტემასთან შედარებით. თუმცა აღსანიშნავია ის სუბიექტური ფაქტორები,

რომლებიც ქართულ საბანკო სისტემას აიძულებს უფრო დაბალ საფეხურზე დგომას. საქართველოს საბანკო სექტორს მხოლოდ 30 წლის ისტორია აქვს.

განხილული ქვეყნების საბანკო სისტემაში თითქმის ყველგან გვხვდება საბანკო მომსახურეობის გარკვეულწილი დანაწევრება, როგორცაა ცალკე ცალკე არსებობა შემნახველი, სესხის გამცემი, იპოთეკური და სხვა მომსახურების გამწევი ბანკები. ჩვენს ქვეყანაში წარმოდგენილი ბანკები ყველა საქმიანობას ახორცილებენ, მათ შეუღლიათ გასცენ სესხები მიიღონ დეპოზიტები, დააფინანსონ მცირე და

საშუალო ბიზნებს სუბიექტები. ყოველდღიულობაში ეს ნამდვილად მოსახერხებელია ქართული საბანკო სისტემის მომხმარებლებისთვის მაგრამ თუ შედარებას გავაკეთებთ სხვა ქვეყნებთან უფრო მეტი ეფექტიანობით სწორედ დაყოფილი და ერთმანეთისაგან გამიჯნული საბანკო სისტემა ხასიათდება.

საქართველოს საბანკო სისტემა რიგ ქვეყნებთან შედარებით გამოირჩევა კონტროლის და დაქვემდებარების ორდონიანი სისტემით. ანუ ქართული კომერციული ბანკები და საფინანსო ორგანიზაციები ექვემდებარება ეროვნულ ბანკს, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფო დაქვემდებარებაშია.

თავი III. საბანკო სისტემა საქართველოში და მისი უკუკავშირი ეკონომიკასთან

3.1. საბანკო სექტორის წილი ქართულ ეკონომიკაში, დინამიკა და ანალიზი

საბანკო სექტორის წილი ქართული ეკონომიკის განვითარებაში საკმაოდ მაღალია. წლებთან ერთად საკმაოდ განვითარდა საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, გაიზარდა სხვადასხვა ფაქტორები რომლებიც დიდი გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. 2019 წლის მონაცემებით საქართველოს ეკონომიკა 5.1% გაიზარდა. ამ ზრდის მაჩვენებლის უდიდესი ნაწილი 4.2% მომსახურების სფეროზე მოდის, რომელშიც შედის საბანკო სექტორი, ხოლო დანარჩენი ინდუსტრიულ დარგებზე. უნდა აღინიშნოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის დამოკიდებულება ქვეყანაში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობაზე და საზღვარგარეთიდან მიღებული გზავნილების მოცულობაზე. საბანკო სექტორი ამ შემთხვევაშიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვინაიდან იგი ამ ფულადი სახსრების გამტარი საშუალებაა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში კომერციულმა ბანკებმა ქვეყნის ეკონომიკა 5 მილიარდი ლარით დააფინანსეს. ქართული საბანკო სექტორის აქტივები ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 66% შეადგენს. არასამთავრობო ორგანიზაციების ბოლო წლების კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, საბანკო სექტორის გაცემული სესხების 44.6 % სავაჭრო სფეროზე მოდის, მრეწველობაზე 17% სამშენებლო სექტორზე 7.9% და 3.2% სოფლის მეურნეობის დარგებზე.


თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მდგომარეობას იმპორტსა და ექსპორტის მაჩვენებლის მიხედვით საქართველო იმპორტიორი ქვეყანაა, გარდა სამომხმარებლო სეზონური პროდუქციისა როგორცაა ხილი, ბოსტნეული, და რძის ნაწარმია ადგილზე ძალიან მცირე რაოდენობის პროდუქტი იწარმოება, შესაბამისათ ვაჭრობის დაფინანსება ნიშნავს იმპორტის დაფინანსებას, რომელიც ქვეყანაში სამომხმარებლო პროდუქციის არსებობისთვის აუცილებელია და ბაზარზე შემოდის მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისად.

გარდა ვაჭრობის დაფინანსებისა საბანკო სფერო საკმაოდ დიდი გადასახადების გადამხდელია, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საბანკო სფეროს დაბერვა უფრო შერბილებული მეთოდებით ხდება.

ბანკის აქტივების რაოდენობის შედარება საქართველოს მშპ რაოდენობასთან

ნახაზი №1

ქართული ბანკების აქტივების ზომამ ქვეყნის მშპ-ის ზომას მიაღწია:



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის წლიური ანგარიში

წინამდებარე გრაფიკი თვალსაჩინოდ წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და საბანკო სექტორის განვითარების ტენდენციებს. საწყისი ეტაპისთვის 1995-2000 წლებისთვის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ცოტათი აღემატებოდა 5 მილიონ ლარს, ხოლო საბანკო სექტორის აქტივები ამ პერიოდისთვის ძალიან დაბალია, ვინაიდან იგი განვითარების საწყის ეტაპზეა. 2000 წლიდან 2010 წლამდე მონაცემებში მშპ რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება საბანკო სექტორის აქტივების რაოდენობას, თუმცა ეს მონაცემები საგრძნობლად იცვლება 2017-2018 წლებში. 2018 წლის ბოლოს არსებული მონაცემებით შეიძლება ითქვას რომ საბანკო სექტორის აქტივებს მშპ-ს აქტივები დაახლოებით 10-15 % აღემატება.

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების სტაბილურობის მაჩვენებელი საბანკო სექტორის სტაბილურობის მაჩვენებელზე დგას და ამ სექტორსი წარმოშობილ

პრობლემებს მარტივად შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილება. საბანკო სექტორი ქვეყნის მოსახლეობის ნდობის მაჩვენებელზეა დამოკიდებული. არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე რაც საქართველოში გვაქვს 2017 წლის ბოლოსთვის საქართველოს მაშტაბით სესხების 89% უპრობლემო ანუ სტანდარტული სესხი იყო, შესაბამისად 11% იყო ნეგატიური სესხი თუმცა ამ მაჩვენებლიდან მხოლოდ 1.4% გახლდათ უიმედო სესხი.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 90 დღეზე და მეტი ვადაგადაცილების პერიოდის მქონე სესხები საქართველოში მხოლოდ 2.81% რაც აღმოსავლეთ რეგიონებში ერთერთი საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და მხოლოდ ესტონეთის ანალოგიურ მაჩვენებელს ჩამოუვარდება.

საქართველოს საბანკო სექტორის მდგრადობასა და განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს საქართველოში მოქმედი ორი ლიდერი ბანკის აქციების ფასი ლონდონის საფონდო ბირჟაზე. საქართველოს ბანკმა ლონდონის საფონდო ბირჟაზე აქციები 2012 წელს განათავსა, ხოლო თიბის ბანკი 2016 წლიდანა წარმოდგენილი. ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების და მზარდი ტენდენციების შესაბამისად შეიძლება ითქვას რომ საბანკო სექტორი ქართულ ბაზარზე დაკმაოდ მზარდი და სტაბილურია, თუმცა ამ სტაბილურობის ტენდენციების უცვლელი ტემპით შენარჩუნებას ხელს უშლის მსოფლიოს მაშტაბით არსებული მდგომარეობა, რაც უშუალო კავშირშია კორონა ვირუსის პანდემიასთან.

2019 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, რაც კომერციულმა ბანკებმა წარუდგინეს ეროვნულ ბანკს საქართველოში მოქმედი 15 ბანკიდან წმინდა მოგების მიხედვით თანმიმდევრობა შემდეგნაირად გადანაწილდა (მილიონი ლარი)

1. თიბისი ბანკი - 392 114 132;
2. საქართველოს ბანკი - 390 435 262;
3. კრედიო ბანკი - 27 699 088;
4. ლიბერთი ბანკი - 26 832 117;
5. ბაზისბანკი - 24 830 002.

პირველ ხუთეულთან შედარებით მოგების შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს მომდევნო 7 კომერციულ ბანკს ხოლო 15 ბაზარზე მოქმედი კომერციული ბანკიდან

მხოლოდ 2-მა კომერციულმა ბანკმა „სილქ როუდ ბანკმა“ და „პაშა ბანკი საქართველომ“ დაასრულა 2019 წელი ზარალით. ეს მაჩვენებელი ერთერთი მიმანიშნებელია საქართველოში საბანკო სექტორის განვითარების მაღალი ტენდენციებისა.

საბანკო სექტორის წილი ქართულ ეკონომიკაში საკმაოდ მაღალია, საქართველოში მოწმედებს არა მარტო ქართული არამედ უცხოური წარმოშობის რამდენიმე ბანკი, რაც მიუთითებს იმაზე რომ, საქართველოს საბანკო ბაზარი უცხო ქვეყნების ბანკებისთვისაც მიმზიდველია და ისინი ოპერირებენ ჩვენს ქვეყანაში. გარდა უცხოური ბანკებისა ქართული ბანკების აქციების გარკვეული რაოდენობის მფლობელები უცხოური კომპანიები არიან. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა ბანკები აფინანსებენ და გარანტორის სახით უდგებიან თავიანთ შვილობილ კომპანიებს და ბაზარზე იქმნება ცალკე დამოუკიდებელი ფინანსური ინსტიტუტი.

საკმაოდ საინტერესო და მიმზიდველია საქართველოს საბანკო ბაზარი კონკურენტული გარემოს თვალსაზრისით, ვინაიდან კონკურენტულ ბაზარზე მოგებული მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებელია. მომხმარებელთა გადმობირების მიზნით ბანკები საკმაოდ ხშირად სწევენ სესხებზე საპროცენტო განაკვეთს და ზრდიან დეპოზიტების საპროცენტო სარგებელს. კლიენტების გადმობირების მიზნით ძალიან ხშირია სესხების რეფინანსირების გამოყენება, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წინსწრების მაქსიმალური ზღვარის 2% განსაზღვურის შემდეგ უფრო აქტუალური გახდა.


კონკურენციის ხარისხის ამაღლებასთან ერთად საბანკო დაწესებულებებს საკმაოდ დიდი თანხების მობილიზება უწევთ მარკეტინგული ხარჯების დასაფარად, რაც ერთერთი აუცილებელი მიმართულებაა მოსახლეობის სწრაფი და დროულად ინფორმირებისა და საკუთარი მომსახურების თუ პროდუქტების გაცნობის.

საქართველოს საბანკო ბაზარი ძირითადად ორიენტირებულია ფიზიკური პირების მომსახურებაზე, სწორედ ამიტომ მომხმარებლების თითქმის 70% პროცენტი ფიზიკური პირია, 20%-მდე წილს ფლობს საბანკო სექტორში იურიდიული პირები და მხოლოდ 10% მოდის ინდივიდუალურ მეწარმეებსა და მცირე მეწარმეებზე.

სამაგისტრო თემის ფარგლებში ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა კვლევა, საბანკო სექტორის გავლენა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაზე.

როგორ მოქმედებს საბანკო სექტორი ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაზე

დიაგრამა №1



წყარო: გრაფიკი შედგენილია ჩვენს მიერ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე

გრაფიკის მიხედვით მოსახლეობის დიდი ნაწილი 58% ფიქრობს, რომ საბანკო სექტორს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაზე დადებითი ზეგავლენა გააჩნია, 30% აზრით საბანკო სექტორი უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, ხოლო გამოკითხულთა 11% აზრით საბანკო სექტორს საერთოდ არააქვს გავლენა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელზე. ამ მონაცემების მიხედვით საბანკო სექტორის გავლენას უარყოფითად აფასებს ძირითადად მომხმარებელთა ის ნაწილი რომელსაც ბანკთან აქვს ერთჯერადი ხასიათის შეხება და არ იყენებს საბანკო პროდუქტებს.


საქართველოს საბანკო ბაზარი სამწუხარო ვერ ფლობს ფინანსური სახსრების იმ რაოდენობას რაც საჭიროა მომხმარებლების მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, ამიტომ ხშირად მოსახლეობაზე გაცემული სესხებისთვის საჭირო სახსრებს კომერციული ბანკები სესხის სახით იღებენ ეროვნული ბანკისგან. შედეგად კომერციულ ბანკებს უწევთ ეროვნული ბანკისგან ნასესხები სახსრების შედარებით მაღალ საპროცენტო განაკვეთში გასესხება მომხმარებელზე.

მონეტარული პოლიტიკის ე.წ რეფინანსირების განაკვეთი ეროვნული ბანკის ფულად საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი რომელიც შედგება 14 წევრისგან იკრიბება კვარტალში ორჯერ და იღებს გადაწყვეტილებას მოსალოდნელი ეკონომიკური და ინფლაციური მაჩვენებლების მიხედვით და ადგენს რეფინანსირების განაკვეთის რაოდენობრივ მაჩვენებელს. შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდეს რეფინანსირების განაკვეთის გაზრდა, შემცირება ან საერთოდ უცვლელად დარჩენა.

რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება

დიაგრამა №2




წყარო: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=555> საქართველოს ეროვნული ბანკი.

წინამდებარე გრაფიკში საკმაოდ კარგად ჩანს რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება 2008 წლიდან 2020 წლამდე. ამ პერიოდში რეფინანსირების განაკვეთის რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2008 წლის ნოემბერში, რაც განპირობებული იყო მსოფლიო ფინანსური კრიზისიდან და 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური მდგომარეობიდან. რეფინანსირების განაკვეთის რეკორდულად დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2013-2014 წლებში სადაც იგი 4% ნაკლებია. 2013 წლიდან შეინიშნება რეფინანსირების განაკვეთის ეტაპობრივი ზრდა და 2020 წლის აგვისტოს მდგომარეობით იგი 8% რაც 1% კლებათაა 2020 წლის იანვარში არსებულ საპროცენტო განაკვეთთან.

ძალიან მცირე საპროცენტო რაოდენობის ცვლილებაც კი საკმაოდ ნეგატიურად მოქმედებს საბანკო სექტორის მიერ გაცემული ცვლად პროცენტის სესხების გადახდისუნარიანობაზე.

როგორ მოქმედებს რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება თქვენს გადახდისუნარიანობაზე

დიაგრამა №3



წყარო: გრაფიკი შედგენილია ჩვენს მიერ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე


მიუხედავად იმისა რომ რეფინანსირების განაკვეთის მაჩვენებლის ცვლილება საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე გამოკითხულთა დიდი ნაწილი 45,6 პროცენტი ამ ცვლილებას მაინც დადებითი ასპექტით განიხილავს, ვინაიდან რეფინანსირების განაკვეთის შემცირებაც გავლენას ახდენს მათ გადახდისუნარიანობაზე და როგორც მატების, ასევე საპროცენტო განაკვეთის შემცირების შემთხვევაში იწევს სესხების საპროცენტო განაკვეთი, თუმცა გამოკითხულთა დაახლოებით 29% საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას უარყოფითად მიიჩნევს 25% ისთვის რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება ვერ ახდენს გავლენას მათ გადახდისუნარიანობაზე.

მიუხედავად იმისა რომ იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი გაცილებით დაბალ ვიდრე სამომხმარებლო სესხებისა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი 56.7 პროცენტი ამჯობინებს სამომხმარებლო სესხით სარგებლობას, ვინაიდან იგი არ არის ქონებით უზრუნველყოფილი, 33% სარგებლობს სხვა ტიპის სასესო პროდუქტებით როგორცაა სალომბარდე სესხი, საკრედიტო ხაზი და ა.შ

საკმაოდ საინტერესოა მომხმარებლების სასესხო პროდუქტების მოთხოვნის დინამიკა.

რომელი ტიპის საკრედიტო პროდუქტს ანიჭებთ უპირატესობას

დიაგრამა №4



წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე

საბანკო სექტორს სტრატეგიული როლი უკავია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, და განსაზღვრავს სახელმწიფოს არსებობისათვის მრავალ ფაქტორს როგორებიცაა: ინფლაციის დონე, ფასიანი ქარაღების ბაზარი, საპროცენტო განაკვეთების დინამიკა და ა.შ. კომერციული ბანკების მოგების ზრდის მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობის ზრდაზე.

„კომერციული ბანკების ადეკვატურ და სამართლიან საფინანსო საკრედიტო პოლიტიკას შეუძლია ქვეყნის ეკონომიკა განვითარებული და სტაბილური გახადოს, ამოტომ მოწესრიგებული და ქვეყნის განვითარებისკენ მიმართული ადეკვატური პროექტებისა და იდეების დაფინანსება უნდა იყოს საქართველოს ბაზარზე მოქმედი კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის კონცეპტუალური საფუძველი“.(ჭილაძე, 2017:6)

3.2 საბანკო სექტორის მიერ ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირების თანამედროვე მიმართულებები

საბანკო სექტორი თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის საჭირო მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ საბანკო სექტორის ხელშეწყობით ხდება ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ზრდისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად. საბანკო სექტორის მიერ სამომავლოდ შეიძლება დაისახოს სხვადასხვა მიმართულებით სტრატეგიული გეგმა რომელიც საბოლოოდ დადებითად აისახება როგორც საბანკო საქმიანობის ასევე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებზე.

1. ზოგადი საბანკო განათლების დონის ამაღლება:

საბანკო სექტორი მიერ ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის ხელსეწყობითვის აუცილებელია პირველ რიგში მოსახლეობის განათლების დონისა და ხარისხის ამაღლება საბანკო საფინანსო მიმართულებით, ვინაიდან მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სემდოს საკუთარი ან ბანკისგან აღებული ფინანსური რესურსების სწორად და ეფექტიანად მართვა. ფინანსურ განათლებასთან ერთად აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური პროდუქტების დანერვა და სწრაფად რეალიზება მისი საბანკო სექტორის მომხმარებელთა დიდი ნაწილისთვის. საბანკო და საფინანსო განათლების ზრდა გააუმჯობესებს მოსახლეობის ფინანსურ ხედვას, რაც უწყვეტ კავშირშია სამომავლოდ ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან.

2019 წელს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური განათლების ზრდისთვის არაერთი პროექტი განახორციელა, შეიქმნა ფინანსური განათლების ამაღლებისთვის ონლაინ ტრენინგ ცენტრები, ვებ გვერდები და კონკურსები. ამავე პროექტის ფარგლებში დაინერგა ფინანსური სწავლების ელემენტების სკოლებში შეტანა 2019-2020 სასწავლო წლებში რაც ინტეგრირებულია ახალ საგანში „მოქალაქეობა“ რომელსაც მოსწავლეები გაივლიან.


2. ადამიანური რესურსების მობილიზება და განვითარება;

საბანკო სექტორი საქართველოში ერთერთი დიდ დამსაქმებელია და 2018 წლის მონაცემებით საბანკო დაწესებულებებში 24998 ადამიანია დასაქმებული გაორმაგებული მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით. საქართველოში სულ 15 კომერციული ბანკია წარმოდგენილი, რომელიც 135 ფილიალითა და 792 სერვის ცენტრითაა წარმოდგენილი. ამ რაოდენობის დაწესებულებებიდან დაახლოებით 45% მოდის დედაქალაქის ფარგლებში არსებულ სერვის ცენტრები და ფილიალებია, ასევე დიდი რაოდენობა მოდის სხვა ქალაქებში და უფრო ნაკლები რეგიონებში.

ზრდის ტემპები შეინიშნება ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობაში. 2018 წლის ბოლოსთვის 4387 ადამიანია დასაქმებული, რაც წინა წლებთან შედარებით მზარდი ტენდენციაა.

საბანკო სექტორში დასაქმებულთა ზრდის დინამიკა

დიაგრამა №5



წყარო: ჟურნალი ფორბსი 2018 <https://forbes.ge/news/6792/sabanko-seqtors-i-25-aTasamde-adamiania-dasaqmebuli>

წინამდებარე გრაფიკის მიხედვით საბანკო სექტორი არ კარგავს ზრდის ტემპებს როგორც პერსპექტიული დამსაქმებელი და შეინიშნება ზრდის ტენდენციები.

თანამედროვე ეტაპზე საბანკო სფერო ერთერთი მაღალ მოთხოვნადი დამსაქმებელია.


ძალიან მნიშვნელოვანია კვალიფიკაციური და შესაბამისი განათლების მქონე პერსონალი საბანკო სფეროში, ვინაიდან საბანკო სექტორი წარმოადგენს მომსახურების

სფეროს და შესაბამისად აუცილებელია დატრენინგებული და მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების შერჩევა და მობილიზება.

დღეისათვის საბანკო სექტორი შრომის ბაზარზე საკმაოდ საინტერესო და მიმზიდველი დამსაქმებელია რაზეც მიუთითებს კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიც.

როგორ შეაფასებთ საბანკო სექტორს დასაქმების კუთხით, რამდენად საინტერესოა თქვენთვის საბანკო სექტორში მუშაობა

დიაგრამა №6



წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

მონაცემებში ნათლად იკვეთება, რომ საბანკო სექტორი 57% აზრით საბანკო სექტორი საკმაოდ საინტერესო და მოთხოვნადი დამსაქმებელია და მხოლოდ 11% აფასებს საბანკო სექტორს არამიმზიდველ დამსაქმებლად.

3. დანაზოგეს შექმნა და სადეპოზიტო პორთფელის ზრდა:

დანაზოგების შექმნა და დეპოზიტების მოზიდვა საბანკო სექტორისთვის აუცილებელია ვინაიდან, საკმაოდ სარფიანი მიმზიდველი იქნება ამ მიმართულებით სახელმწიფოს ჩართულობა. ამ შემთხვევაში სესხების გაცემას მოახდენს საკუთარი რეზერვებით და ნაკლებად მოუწევს ეროვნული ბანკისგან ფულის სესხება. სახელმწიფომ თანხების დარეზერვების მიზნით ამოქმედა 2019 წლის პირველი იანვრიან საპენსიო სისტემაც.

4. ლარიზაცია: მოსახლეობის დიდი ნაწილი თანხის შენახვას ამჯობინებს უცხოურ ვალუტაში, რის მთავარი მიზეზიც არის საქართველოში უძრავი და მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა უცხოურ ვალუტაში, რაც საკმაოდ არამომგებიანი როგორც მოსახლეობისთვის ასევე საბანკო სექტორისთვის. ამ პრობლემის მოსაგვარებლად

აკრძალა სახელმწიფომ 2019 წლის დასაწყისში საბანკო რეფორმის ფარგლებში 200000 ლარზე ნაკლები თანხის სესხის სახით გაცემა უცხოურ ვალუტაში. თუმცა მიუხედავად ამისა სესხების საკმაოდ დიდი ნაწილი მაინც უცხოურ ვალუტაში გადის, ვინაიდან ეროვნულ ვალუტასთან შეფარდებით საკმაოდ დაბალია საპროცენტო განაკვეთი. ამის გამო ხშირად ბანკების სასესხო პორთფელიც ძლიერ დოლარიზაციაზე გადადის. თუ მოხდება სახელმწიფოს ჩართულობით სესხების და დეპოზიტების ლარიზაციაზე ორიენტირება, ეს მომგებიანი იქნება და ნაკლებად რისკიანი ეროვნული ვალუტის გაუფასურების სემთხვევაში უცხოურ ვალუტასთან.

„საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2020 წლის აგვისტოში ქვეყანაში დეპოზიტების ლარიზაცია გაიზარდა. ამის მიუხედავად, მოქალაქეებისა და ბიზნესების დანაზოგების ნახევარზე მეტი უცხოურ ვალუტაში არის ნომინირებული.

დეპოზიტების ლარიზაციის კოეფიციენტმა მიმდინარე წლის პირველი სექტემბრისთვის 40.48 პროცენტი შეადგინა. პირველი აგვისტოს მდგომარეობასთან შედარებით, დეპოზიტების ლარიზაცია გაიზარდა 1.06 პროცენტული პუნქტით.

საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2020 წლის პირველი სექტემბრისათვის 30.93 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 392.65 მლნ ლარით, ანუ 1.29%-ით მეტია პირველი აგვისტოსათვის არსებულ მაჩვენებელზე (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 1.28%-ით მეტი). აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა ვადიანი დეპოზიტების ზრდას 563.69 მლნ ლარით, ანუ 4.04%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 4.05%-ით გაიზარდა), ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები 171.04 მლნ ლარით, ანუ 1.03%-ით შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე შემცირდა 1.05%-ით). აგვისტოში ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა 6.36% შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 8.34%, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.75%“, - ნათქვამია ეროვნული ბანკის ანგარიშში“.

(ტყეშელაშვილი, 2020:1)

5. საბანკო სექტორისა და სახელმწიფოს შორის ფინანსური შუამავლობის გადრმავება;

სახელმწიფოსა და ფინანსური ინსტიტუტების, კომერციული ბანკების მუშაობის და ფინანსური ურთიერთობების გაღრმავება საკმაოდ დადებითად აისახება ზოგადს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ვინაიდან სახელმწიფოს მხარდაჭერითა და ხელშეწყობით კომერციული ბანკები შეძლებენ მაქსიმალურად დააფინანსონ კერძო ბიზნესები. სავაჭრო და სამშენებლო პროექტები, სოფლის მეურნეობის დარგები, სახელმწიფოს მხარდაჭერით გასცენ გრძელვადიანი და შედარებით დაბალ პროცენტის სესხები, რაც საშუალებას მისცემს ყველა დარგს ფინანსური რესურსების მობილიზების და განვითარების. ამ შემთხვევაში ბანკს გარანტიორად სახელმწიფო დაუდგება.

2020 წლის წლის ივნისიდან ამოქმედდა იპოთეკური სესხების სუფსიდირების პროგრამა რის ფარგლებშიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 70 მილიონი ლარი. სუფსიდირება გულისხმობს იპოთეკური სესხების საპროცენტი განაკვეთს -4%. სუფსიდირება ეხება 2020 წლის პირველი ივნისიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე აღებულ სესხებს. თუმცა ამ სუფსიდირებას გარკვეული მოთხოვნები აქვს, სახელმწიფო წყვეტს სესხის სუფსიდირებას თუ რეფინანსირების განაკვეთი ჩამოცდება 5%, წყდება სუფსიდირება თუ სესხი არ დასრულდება 5 წლის ვადაში და ეხება ყველა იმ სესხს რომელიც გულისხმობს 200 000 ლარამდე არებულ იპოთეკურ სესხს.

მოსახლეობის უმეტესი ნაწილმა სახელმწიფოს მიერ იპოთეკური სესხების სუფსიდირების პროგრამით უკვე ისარგებლა და საკმაოდ შერავათიანი პირობით შეიძინა უძრავი ქონება.

როგორ აისახება იპოთეკური სესხების სუფსიდირების პროგრამის გაატიურება მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე:

დიაგრამა №7



წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე

გამოკითხულთა უმრავლესობა 65% სახელმწიფოს გადაწყვეტილებას სესხების სუფსიდირებათან დაკავშირებით დადებითად აფასებს. 20% აზრით გავლენას ვერ ახდენს ხოლო 15% უარყოფითად, რის ძირითად მიზეზადაც სუფსიდირების პროექტის ხანმოკლე პერიოდაა.

სუფსიდირების ამ პროგრამით არამარტო კომერციული ბანკები გასცემენ სესხებს, არამედ სამშენებლო კომპანიებიც შეძლებენ მათ უკვე არსებული უძრავი ქონების რეალიზაციას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. შესამისად ეს პროექტი შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოსა და საბანკო სექტორის გამართულად და სწორად მუშაობის, და რესურსების მობილიზაციის ერთერთ საუკეთესო მაგალითად.

სახელმწიფოსა და საბანკო სექტორის მუშაობის კორდინირებული და ეფერტური მაგალითი გახლდათ 2020 წლის მსოფლიო პანდემიის პერიოდის ბანკების მიერ სესხების გადავადების პროგრამაც. მაშინ როცა კორონა ვირუსის გამო 2020 წლის თებერვლიდან მთლიანად გაჩერდა ყველა საწარმო ორგანიზაცია, დაიხურა და მუშაობა შეწყვიტა ყველა სამსახურმა გარდა გადაუდებელი საჭიროების მქონე დაწესებულება როგორცაა: საავადმყოფო, პოლიცია, ბანკი და სასურსათო მარაზიები, ჩაიკეტა საზღვრები და შეწყდა მიმოსვლა თითქმის ყველა ქვეყანასთან და მოსახლეობის დიდი ნაწილი დარჩა უმუშევარი. ამ პერიოდში მოსახლეობას საკმაოდ კრიზისულ ფინანსურ მდგომარეობა ემატებოდა ბანკის სესხები. ამიტომ სახელმწიფოს დახმარებითა და მხარდაჭერით მოხდა სესხების გადავადების პროცესის 2 ეტაპად განხორციელება, სურვილისამებრს. რათქმაუნდა უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობისთვის ეს დიდ შეღავათს წარმოადგენდა.


გარდა უკვე განხორციელებული პროექტების სამომავლოდ საბანკო სექტორს აქვს ვალდებულება უფრო ინოვაციური, მარტივი და სწრაფი საბანკო პროდუქტები შესთავაზოს თავის მომხმარებლებს, გააუმჯობესოს და დაწეროს თანამედროვე ტექნოლოგიები. გავხორციელებული ღონისძიებები განაპირობებენ დაფინანსების ინსტრუმენტების მრავალფეროვნება და მომსახურების ხარისხს.

ამ შემთხვევაშიც გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი თითქმის 36% პროცენტი გადავადების პირობებს დადებითად აფასებს და 19%-ია უარყოფითად განწყობილი

ვინაიდან გადავადების პერიოდში არ მოხდა სესხებზე პროცენტის დარიცხვის შეჩერება.
(იხ. დიაგრამა №8)

როგორ შეაფასებთ covid-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით სესხების გადავადების პირობებს:

დიაგრამა №8



წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე

აუცილებელია საბანკო სექტორის მიერ ყველა ფინანსური და არაფინანსური ოპერაციის განხორციელებისთვის საჭირო ინსტრუმენტების დროული და სწორი მონიტორინგი, რათა მოხდეს საეჭვო და სარისკო ტრანზაქციებისგან ბანკისა და მისი მომხმარებლების დაცვა. ერთერთი აუცილებელი პირობა კომერციული ბანკების მხრიდან მომხმარებლების ინტერესებს დაცვა, ვინაიდან თანამედროვე პერიოდში ხშირია კიბერდანაშაულის ფაქტები მომხმარებელთა საბანკო ანგარიშებზე. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები საკმაოდ ეფექტურად ახერხებენ ამ ამ პრობლემებისგან მისი მომხმარებლების დაცვას.

2019 წლიდან საკმაოდ აქტუალურად მიმდინარეობს საბანკო სექტორის მხრიდან მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების შემუშავება და დანერგვა. ეროვნული ბანკის მხარდაჭერით 2019 წლამდე გამოვლინდა ფაქტები საფინანსო სექტორის მხრიდან მომხმარებლის უფლებების არასრულფასოვნად დაცვის და კომფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვის, რის გამოც არაერთი საფინანსო ინტიტუტი დაჯარიმდა. სწორედ ამიტომ საბანკო სექტორის სამომავლო გამოწვევაა, მაქსიმალურად

გაითვალისწინონ ეროვნული ბანკის მითითებები ამ მიმართულებით, რაც გამოიწვევს საფინანსო სექტორის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასა და ნდობის ხარისხის ამაღლებას.

2020 წლის მოვლენებმა რაც უკავშირდება მსოფლიო პანდემიურ მდგომარეობას გაზარდა საბანკო რისკები სხვადასხვა მიმართულებით როგორცაა საოპერაციო, საკრედიტო და კაპიტალის მიმართულებით. ყველაზე ეფექტიანი ამ შემთხვევაში საბანკო პროდუქტებიდან ელექტრონული პროდუქტები და გადახდის საშუალები აღმოჩნდა, ვიდაიდან მომხმარებლებმა შეძლეს მაქსიმალურად სწრაფად და ხარისხიანად ანგარიშსწორება. თანამედროვე სამყაროში ელექტრონული ანგარიშსწორება აუცილებელია და სწორედ ამიტომ წარმოადგენს საბანკო სექტორი უკიდურესად მნიშვნელოვან რგოლს ფინანსურ სექტორში.

დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საბანკო სექტორს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე დადებითი გავლენა აქვს. იგი ქმნის ფინანსურ დოვლათს ქვეყანაში და თავისი განვითარებადი და მზარდი ტენდენციებით ერთერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია სახელმწიფოს ეფექტურად ფუნქციონირებისათვის. საბანკო სექტორს სხვა ინსტიტუტებთან შედარებით უფრო სწრაფად და ეფექტურად შეუძლია ფინანსური სახსრების მობილიზება.

საბანკო სექტორი გარდა თავისი ინოვაციური ტექნოლოგიებისა მომხმარებელ უქმნის ძალიან მარტივ და კომფორტულ გარემოს შესაძლებლობების რეალიზაციის, ბიზნეს სექტორის განვითარების, სხვადასხვა საჭიროებების დაფინანსების და გამარტივებული ოპერაციების შესრულების. დღეისათვის საბანკო სექტორს რომელიც მოღვაწეობენ ქართულ საბანკო ბაზარზე, ნამდვილად აქვს შესაძლებლობა ინოვაციებისა და თანამედროვე სტანდარტების დანერგვის. მსოფლიოს მაშტაბით მოსახლეობის 80% უკვე ჩართულია და სარგებლობს იმ ელექტრონული შესყიდვებით, რომლებსაც ნერგავს საბანკო ბაზარი მომსახურების პროცესისი გასამარტივებლად. ელექტონული ანგარიშსწორება და უნადლო ტრანზაქციები რაც საქართველოს მოსახლეობისთვისაც საკმაოდ ცნობილი და გამოყენებადი პროდუქტია იძლევა საშუალებას, განვითარდეს არამარტო ქვეყნის შინით, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც ვაჭრობის ტენდენციები. თანამედროვე ეპოქაში ყველა გამოწვევასა და თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს საბანკო სექტორი, თავისი ინოვაციური და მომხმარებლის მოთხოვნებზე ორიენტირებული საბანკო პროდუქტებით.

აღასანიშნავია ისიც, რომ ქართული საბანკო სექტორი ერთერთი მოწინავეა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ათვისების პროცესში, რაც გამართულად მუშაობის პროცესში გამოიხატება.

თანამედროვე მსოფლიოში საბანკო სექტორის განვითარება დადებითად მოქმედებს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეონის განვითარებაზე, ბანკების შემოსავლებისა და მოგების ზრდასთან ერთად დადებითი ტენდენციებით ხადიათდება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. საბანკო სექტორის დადებითი

გავლენა აისახება ეკონომიკური და სოციალური მიმართულებებით. თუმცა საბანკო სექტორს ყველაზე დიდი და აშკარად გამოხატული გავლენა სამრეწველო და სამშენებლო ბიზნესზე აისახება. ისეთი გარდამავალი ეკონომიკური მდგომარეობისა რაც ამჟამად საქართველოშია, საბანკო სექტორის დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე საკმაოდ ძნელი და არაგანვითარებადი ტენდენციები ექნებოდა სამშენებლო სექტორს, ვინაიდან მოსახლეობის უმეტესობა სწორედ ბანკში აღებული სესხის საფუძველზე ყიდულობს უძრავ ქონებას.

ქართული საბანკო ბაზარი საკმაოდ მიმზიდველია ინვესტორებისთვისაც, ვინაიდან ბოლო წლებში შეინიშნება უცხოური ბანკების ქართულ საბანკო ბაზარზე გამოჩენა, თუმცა ბაზრის ძირითად ლიდერებად ისევ აქამდე არსებული ბანკები რჩებიან, რომლების ათწლეულების მანძილზე ინარჩუნებენ პირველობასა და განვითარების მაღალ საფეხურებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო და საფინანსო სექტორის განვითარებისთვის და ხელშეწყობისთვის აუცილებელია სახელმწიფოს ჩართულობა, ბაზრის სტრუქტურისა და ძალების ეფექტური და სწორი გადანაწილება, კომპენტირების მაჩვენებლის დარეგულირება საბანკო კონკურენციის ამაღლება.

საერთო ჯამში სახელმწიფოს საბანკო სექტორის და მომხმარებლების საერთო ინტერესებში შედის ფინანსური სექტორის წილის ზრდა, რაც დადებითი ტენდენციაა სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებით და მომგებიანი და ხარისხზე ორიენტირებულია საბანკო პროდუქტების მომხმარებლებისთვის.

E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%98

16. ეკონომიკა და საბანკო საქმე ტომი II <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/247410>

17. იპოთეკის ცნებაში განხორციელებული ცვლილებები 18 სექტემბერი 2020 მოძიებულია 26 მაისი 2020 <https://forbes.ge/blog/613/ipoTekis-cnebaSi-ganxorciebuli-sakanonmdeblo-cvlilebebi%2C-anu-sakuTrebis-mesakuTrisgan-dacvis-mcdeloba>

18. საქართველოს საბანკო სექტორის ძირითადი პარამეტრები მოძიებულია 2 ივნისი 2020 <https://forbes.ge/news/6780/saqarTvelos-sabanko-seqtoris-ZiriTadi-parametre>

19. წარმატებული საბანკო სექტორი ვახტანგ ჭარაია მოძიებულია 10 ივნისი 2020 <https://1tv.ge/analytics/warmatebuli-sabanko-seqtori/>

20. საქართველოს საბანკო სექტორის სტაბილურობა ბესო ნამჩავაძე 10 აგვისტო 2018 მოძიებულია 10 ივნისი 2020 <https://forbes.ge/news/4531/ramdenad-stabiluria-saqarTvelos-sabanko-seqtori> 10 აგვისტო 2018

21. საქართველოს კანონი დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის შესახებ“ მოძიებულია 25 ივნისი 2020;
s://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/riskebis_martva_20_06_14.PDF

22. საქართველოს მთავრობის დადგენილება ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ მოძიებულია 10 ივლისი 2020;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/101044?publication=40N400> 2014;

23. საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირებულ განაკვეთი) მოძიებულია 15 ივლისი 2020 <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=555>

24. საქართველოს ეკონომიკისა და კომერციული ბანკების ზრდის შედარება მოძიებულია 10 აგვისტო 2020 https://www.researchgate.net/publication/324485801_sakartvelos_da_komertsiuli_bankebis_ekonomikuri_zrdis_shedareba


დანართი:

ჩატარებული კვლევის შედეგები-კითხვარის ლინკი:

<https://docs.google.com/forms/d/1IccjwK0weZqL1pAa9CS3jVUAlaq2JfgUB03zSQbtJV0/edit#responses>

თქვენი განათლება:


დიაგრამა №9



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.


თქვენი სამეწარმეო სტატუსი

დიაგრამა №10



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.


როგორ შეაფასებთ საბანკო სექტორს როგორც მომსახურების სფეროს წარმომადგენელს
 დიაგრამა №11



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

რამდენად ხშირად მიმართავთ ბანკს მომსახურების გასაწევად

დიაგრამა №12



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

ძირითადად რომელ საბანკო პროდუქტს იყენებთ ყველაზე ხშირად


დიაგრამა №13



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

ძირითადად რისთვის იყენებთ საკრედიტო პროდუქტებს

დიაგრამა №14



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.